ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 1 დეკემბერი, 2020 №249 (8513) ფასი: 60 თეთრი

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა სასამართლო პატიმრობაში დატოვა

გვ.5

„პარლამენტში შესვლა კაპიტულაცია იქნება“



გვ.2

„ქვეყნის სათავეში რუსი კორუფციონერი ფეოდალია, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება“

ლევან ხაბეიშვილი: „17%-იანი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლებას და საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?!“

გვ.2

„ტიკარაძე და გახარია უნდა წავიდნენ სახლში“

„დღეს მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებს“

ლევან ალაფიშვილი: „ამ ხელისუფლებას სენად ექცა, არავის არაფერი ჰკითხოს და ყველას გაემიჯნოს“

გვ.3

თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძე ისევ რუსეთის მომხრეა, მაგრამ რუსეთისთვის საინტერესო ფიგურა აღარაა“



გვ.3

გვ.2

ფინანსთა მინისტრს და მის მოადგილეს კორონავირუსი დაუდასტურდათ

თამარ ჩხეიძე: „ჩვენ რომ ნამდვილი საზოგადოება ვიყოთ, ამ არაადამიანურ შეზღუდვებს არ დავუშვებდით“

გვ.4

„შეთქმულების თეორიის ავტორობაც რომ დამაბრალონ, მაინც ვიტყვი, რომ ეს დამანგრეველი ზომები რუსეთის მითითებით სრულდება“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1244 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 საქართველოს პარლამენტს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია წარედგინა

2 საქართველოში მიწისძვრა მოხდა

5 შსს-მ რუსეთის მოქალაქე დააკავა
ამოღებულია 1 კგ ჰეროინი, 8.390 ლარი და 400 დოლარი

6 მაია სანდუ: „მოლდოვის მთავრობა უნდა გადადგეს!“

ლევან ხაბეიშვილი: „პარლამენტში შესვლა კაპიტულაცია იქნება“

„17%-იანი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლებას და საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, მძვინვარებს პანდემია და ჩაკეტილია ქვეყანა. რა შედეგამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი და სად დაუშვა შეცდომა ხელისუფლებამ?

– პირველი ჩაკეტვის შემდეგ 100 ათასზე მეტმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი. მეორე ჩაკეტვით კიდევ ბევრ სამუშაო ადგილს დავკარგავთ. პანდემიამდეც გვიჭირდა და პანდემიის შემდეგ კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ვართ. საქართველოში ერთი ლარი ინვესტიცია არ შემოვა.

– რატომ არ შემოვა?

– როცა ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი, პლუს ეკონომიკური კრიზისი, პლუს სასამართლოს არ ქონა და ამას დამატებული, რუსი ოლიგარქი ხელისუფლებაში. ეს ყველაფერი კომპლექტში იძლევა იმის გარანტიას, რომ ინვესტიცია არ შემოვა.

რაც შეეხება შიდა ბიზნესს. შიდა ბიზნესმენების ნაწილი იდევნება. დაწყებული ხაზარაძით, ოქრიაშვილით, ოქუაშვილით და რომელი ერთი ვთქვა. ეს ხალხი ოპოზიციაშია, გაცხადებული აქვთ და ამიტომ იდევნებიან კიდეც რუსი ოლიგარქის მიერ.

– ჯანდაცვის სისტემაში კრიტიკული სიტუაციაა.

– კრიტიკული კი არა, საერთოდ არ არსებობს ჯანდაცვა! იგივე სასუნთქ აპარატებთან დაკავშირებით 10 თვე ჰქონდა ხელისუფლებას და 9 მილიარდი ლარი იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოეგვარებინა და ამ კუთხით ისევ პრობლემა გვაქვს. პლუს ამას ამდენი ექიმი დაგვიინფიცირდა და დაგვეღუპა. ელემენტარული სათანადო ეკიპირება არ ჰქონდათ ამ ადამიანებს, რომ მაქსიმალურად დაცულები ყოფილიყვნენ. ზოგ საავადმყოფოში პირბადის დეფიციტი ჰქონდათ, სხვას რომ თავი დავანებოთ.

ეს უმძიმესი რეალობა კი დააყენა ხელისუფლებამ. ჯერ ერთი, რომ არ დაიცვა ექიმები, ასევე არ დაიწყო მოხალისეების გადამზადება. დღეს ცხელ ხაზზე 1 ექიმი 300 ადამიანს პასუხობს. საშინელ რეჟიმში უწევთ მუშაობა. ხომ შეიძლებოდა გადაემზადებინათ ექიმები, თუნდაც სამედიცინოს სტუდენტები, ან მოხალისეები ჩაერთოთ ამ საქმეში. მთელი 10 თვე ჰქონდათ და ეს გადამზადებული ადამიანები კომპეტენტურ პასუხს გასცემდნენ პაციენტებს. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ამაში დაგვეხარჯა თანხები?! ეს ხომ სწორი მიდგომა იქნებოდა?!

– არამიზნობრივად დაიხარჯა თანხები?

– საერთოდ არ ვიცით, რაში დაიხარჯა. ასევე უნდა მომზადებულიყო კოვიდ ცენტრები. თუნდაც სპორტული დარბაზები გამოეყენებინათ ამისთვის. ეს რატომ არ უზრუნველყო ხელისუფლებამ, ხომ გვაფრთხილებდნენ, რომ მეორე ტალღა აუცილებლად იქნებოდა. ან რატომ არ შედგა კრიტერიუმები, რა დროს შეიძლება იზოლაციაში იყო სახლში და რა დროს წახვიდე საავადმყოფოში.

დღეს ქაოსურად მიმდინარეობს ეს პროცესი. ვიღაცა ვიღაცის ნაცნობია და დააწვენენ საავადმყოფოში და ვიღაცა, ვისაც ნაცნობი არ ჰყავს, სახლში კვდება.

– გახარიას და ტიკარაძეს შორის არის სერიოზული დაპირისპირება. რა ხდება?

– ჩვენ არც პრემიერი გვყავს და არც ჯანდაცვის მინისტრი. ტიკარაძე თუ ვინმეს ჯანდაცვის მინისტრი ჰგონია, მაშინ კარგად გვქონია საქმე. მთავარია, რას იტყვის ქურდი, რომელიც ზის შუშის სასახლეში. სასაცილოა დღეს იმაზე საუბარი, რომ გახარია და ტიკარაძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს ფონი ივანიშვილს სჭირდება, ის ერთობა ამ ყველაფრით და იმიტომ.

– ლევან, პოლიტიკურ ფონს როგორ აფასებთ?

– მე ძალიან მძიმედ ვუყურებ ამ პროცესებს. ამ ხალხის ხელისუფლებაში ყოფნით ზარალდება ქვეყანა. რა აზრი აქვს ამ პარლამენტში ყოფნას. გვეუბნებიან, პარლამენტარობანა ვითამაშოთო და ამას აზრი არა აქვს. ქვეყნის განადგურებაში მონაწილეობა პირადად მე არ მინდა!

– ელჩების მოწოდებაა, რომ აუცილებელია კომპრომისი და ოპოზიცია უნდა შევიდეს პარლამენტში.

– ელჩების მოწოდება ერთია, რომ მშვიდობა და სტაბილურობა უნდათ ამ ქვეყანაში, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს, როცა არჩევანი აქვს მოქალაქეს ამ ქვეყანაში ჩამორთმეული. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ელჩი რას გვეტყვის, როცა ჩვენ, მოქალაქეებს, წაგვართვეს არჩევანის უფლება?! ეს ქვეყანა არის ქართველი ხალხის და ამიტომაც ჩვენი გადასაწყვეტია, როგორ მოვიქცევით. ქართველი ხალხის გასაკეთებელია ეს საქმე და მერე ნახავთ, როგორ დაეწყობიან ეს ელჩები და სხვანაირ განცხადებებს გააკეთებენ.

– რა პოზიცია აქვს ოპოზიციურ პარტიებს? განიხილება პარლამენტში შესვლა?

– მე საერთოდ არ მაინტერესებს, კონკრეტული პარტია რას გადაწყვეტს, ვგულისხმობ პარლამენტში შესვლას. თუ რომელიმე გადაწყვეტს, რომ კაპიტულაცია გამოაცხადოს და შევიდეს, ეს მისი უფლებაა. მეორე ტურმა ხომ ნათლად დაადასტურა არჩევნებისადმი ნდობის საკითხი? ფაქტიურად 20% გამოცხადდა არჩევნებზე. ეს იყო სრული კატასტროფა. იმ 20%-დანაც 3% ბათილი იყო, ვიღაცები უბრალოდ საგინებლად მივიდნენ ამ ხელისუფლების. თქვენ წარმოგიდგენიათ, 17%-იანი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლებას და საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?!

ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია! თუ ვინმე ასეთ პარლამენტში შესვლას გადაწყვეტს იმისთვის, რომ პარლამენტარობა ითამაშონ და ბიძინა ივანიშვილი გააპატიოსნონ, მათი კაპიტულაციის საკითხი დადგება.

აქ მთავარი არ არის, ვინ შევა და ვინ არა, აქ მთავარია, ქართველი ხალხის ნება რა არის და როგორ გავაგრძელოთ ეს ბრძოლა. ამ ხელისუფლების პირობებში ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველება.

ქართველ ხალხს კი ელოდება შიმშილი.

ქუთაისის კლინიკიდან დაკარგული მამაკაცის ცხედარი ტყეში იპოვეს

ქუთაისში კლინიკიდან დაკარგული მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც „კურიერს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, პაციენტის ცხედარი კლინიკასთან ახლოს, ტყეში სამართალდამცველებმა იპოვეს.

ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

76 წლის მამაკაცი ინტერვენციული მედიცინის ცენტრიდან 27 ნოემბერს გაუჩინარდა. მან კლინიკა უკანა კარიდან დატოვა.

კლინიკაში აცხადებდნენ, რომ მამაკაცს კლინიკა 28 ნოემბერს უნდა დაეტოვებინა, თუმცა ღამით კლინიკიდან გაიპარა.

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო.

ფინანსთა მინისტრს და მის მოადგილეს კორონავირუსი დაუდასტურდათ

საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ვანო მაჭავარიანს, ტესტირების შედეგად კორონავირუსი დაუდასტურდა.

პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრი მუშაობას სახლიდან, დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს.

ტესტირების შედეგად, კოვიდ-19 დაუდასტურდა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძესაც, რომელიც ასევე სახლში გადის მკურნალობას.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 30 ნოემბერს, საქართველოში მიწისძვრა მოხდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები თბილისის დროით 19:09 საათზე, დმანისთან დაფიქსირდა.

მიწისძვრის სიმძლავრე 3.0 (მლ) მაგნიტუდას შეადგენდა.

„ტიკარაძე და გახარია უნდა წავიდნენ სახლში“

პარტია „მოქალაქეების“ ლიდერის ალეკო ელისაშვილის განცხადებით, შექმნილი პანდემიური ვითარებიდან რეალური გამოსავალი ის არის, რომ ყველას უნდა შეეძლოს, თავისი პოლიტიკური გემოვნება გვერდზე გადადოს.

როგორც ელისაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე ხელისუფლებამ და ოპოზიციამ პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს და აზრები გაცვალოს.

– ხელისუფლებას აქვს ორი ბერკეტი – დარწმუნება და იძულება. იმის გამო, რომ გააყალბა არჩევნები და უთავბოლობითაა დაკავებული, არავის არ სჯერა მათი. არანაირი არგუმენტი ჩაკეტვებს არ ახლავს. დარჩენიათ იძულების ბერკეტი, რასაც წინააღმდეგობა ხვდება.

რეალური გამოსავალი ის არის, რომ როდესაც არის ომი, მასშტაბური სტიქიური უბედურება ან პანდემია, ყველას უნდა შეეძლოს თავისი პოლიტიკური გემოვნების გვერდზე გადადება. გაზაფხულის ჩაკეტვების მერე რომ ეგონათ, მაგარი კრიზისმენეჯერები იყვნენ, ყველას ზემოდან ყურება დაგვიწყეს, – განაცხადა ელისაშვილმა.

მისი აზრით, პრემიერ-მინისტრმა და ჯანდაცვის მინისტრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ და თანამდებობა დატოვონ.

– პასუხისმგებლობის აღება იმას ნიშნავს, რომ ბოდიშს იხდი და სახლში მიდიხარ. ვის რად უნდა, ტიკარაძე თანამდებობაზე იქნება თუ არა. უბრალოდ აჩვენებდნენ, რომ რაღაცაზე აქვთ პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც გახარია. თქვან: „ბოდიში, ვერ მოვამზადე ჯანდაცვის სისტემა 8 თვის განმავლობაში მეორე ტალღისთვის“ და ტიკარაძე და გახარია უნდა წავიდნენ სახლში.

ვისაც მართლა მენეჯმენტის გამოცდილება აქვს, ის უნდა მოვიდეს. კორონავირუსი რომ გჭირს, იწყება ჯოჯოხეთი, არ იცი, რა უნდა ქნა და არავინაა, რომ დაგაკვალიანოს. წამყვანი არაა, ადგილს ვერ იშოვი. ეს ნორმალურია? ამაზე პასუხისმგებლობა მთავრობის თავმჯდომარემ და ჯანდაცვის მინისტრმა არ უნდა აგონ? – განაცხადა ელისაშვილმა.

საქართველოს პარლამენტს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია წარედგინა

საქართველოს პარლამენტს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია წარედგინა.

ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯებიცაა შესული.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 221.9 მლნ ლარით და შეადგენს 18.384.5 მლნ ლარს, საიდანაც 890 მლნ ლარზე მეტი გათვალისწინებულია ახალი კორონავირუსის პანდემიის და მისგან გამოწვეული კრიზისი საწინააღმდეგო ღონისძიებების დაფინანსებისთვის.

ამასთან, ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსიისგან განსხვავებით, რომელშიც 2021 წელს ეკონომიკის ზრდა 5%-ის ფარგლებში იყო პროგნოზირებული, ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში აღნიშნულია, რომ არსებული პროგნოზების მიხედვით, 2021 წლისათვის მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 4.3%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში საშუალოდ 5.5%-ის ფარგლებში შენარჩუნდება.

რაც შეეხება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, 2021 წლის განახლებული პროგნოზით, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 12.045.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 155 მლნ ლარით ნაკლებია 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით. როგორც დოკუმენტშია განმარტებული, კლება განპირობებულია ანტიკრიზისული გეგმის ახალი ეტაპის ფარგლებში კერძო სექტორისათვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების ეფექტით.

ამასთან, 2021 წლის ბოლოსთვის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალი განისაზღვრება მშპ-ის 60.1%-ის ოდენობით. რაც შეეხება სახელმწიფო ვალის ზღვრულ მოცულობას, 2021 წლის ბოლოსათვის იგი განისაზღვრება 33.680.1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალი – 27.734.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი – 5.945.8 მლნ ლარის ოდენობით.

როგორც ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მომდევნო წლებში ვალი მცირედით შემცირდება და 2024 წლისთვის მშპ-ს 57.6% პროცენტი იქნება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქვეყნის სათავეში რუსი კორუფციონერი ფეოდალია, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება“

თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძე ისევ რუსეთის მომხრეა, მაგრამ რუსეთისთვის საინტერესო ფიგურა აღარაა“

იაგო ნაცვლიშვილი

არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების და იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც მთავრობამ მიიღო, ოპოზიცია გარკვეულ აქტივობას მაინც აგრძელებს და ეს აჩვენა ბათუმის პროცესებმაც. მართალია ხელისუფლება უპასუხისმგებლოს ეძახის, თუმცა ოპოზიციაში პროცესს სხვაგვარად უყურებენ.

რა აჩვენა ბათუმის პროცესებმა და ეძებენ თუ არა ხვრელებს მიღებულ რეგულაციაში? რატომ არის მისთვის მიუღებელი აბაშიძე-კარასინის შეხვედრიდან გამოსული ინფორმაცია? შეურიგდა თუ არა ნინო ბურჯანაძეს, რომელსაც რუსულ ვექტორს უწოდებდა? რატომ არ შევა პარლამენტში ოპოზიცია თუ ხელისუფლება-ოპოზიციის დიალოგიდან კონკრეტული შედეგი არ დაიდება? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი **თაკო ჩარკვიანი** საუბრობს.

– გარკვეული დაძაბული ვითარება იყო ბათუმში როგორც მთავრობის სახლთან, ისე სპორტდარბაზთან მიმართებით „გირჩის“ აქტივობის შედეგად. რა აჩვენა ამ პროცესმა, არის თუ არა მიღებულ რეგულაციებთან ბევრი კითხვა და ეს ხვრელი იპოვა ზურა ჯაფარიძემ?

– იცით, როგორი ვითარებაა? ადამიანები უკვე ყველანაირ ფორმას ვეძებთ. ძალიან მძიმე ვითარებაა. ხვრელის ძებნაა, პერფორმანსი, პროტესტი, დიდი აქცია თუ სხვა აქტივობა. ეს პროცესი არ შეწყდება. გამორიცხულია. ყველა პარტია დებს თავის წილ აგურს და გამოსავალს ეძებს. უმძიმესი ვითარებაა. თქვენ გახსოვთ ასეთი შიმშილი? მე არ მახსენდება. ასეთი გაჭირვება მხოლოდ 90-იან წლებში მახსენდება. ახლა ზუსტად იქით მივდივართ, არაფერი არ გვაკლია იქამდე. ინსტიტუციურად როგორი დაძირვაც არის ვხედავთ, არაფერი არ კეთდება და მარტო სიტყვიერად ამბობენ, დანარჩენი კი არანაირი ნაბიჯი არ იდგმება. რა კეთდება ინსტიტუციურად დასავლეთის გზაზე? – არაფერი. რუსეთის მიმართულებით რა კეთდება? – ვხედავთ.

ვნახეთ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის შესახებ ინფორმაციები. ეს იყო წარმოუდგენელი რამე, ეს ხომ ლაკმუსის ფურცელია, რაც იმ დღეს მოხდა და ახლა თავის მართლების რეჟიმში არიან.

– ამ საკითხში რა იწვევს თქვენ განსაკუთრებულ პროტესტს?

– მე ადრე ვიხუმრე და დავარქვი რაიკინის თუ კარასინის-მეთქი. ჩემთვის ეს არის ტრაგიკომედია. წარმოიდგინეთ რაზეა გადასული მთელი მსოფლიო – გერმანიაში რაღაც ვაქცინებს ქმნიან, ასევეა აშშ-ში, ბრიტანეთში... და ამ დროს ჩვენთან რა ხდება?! ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლების მიმართ არა თუ ნდობა არ არსებობს, არამედ ჩვეულებრივი მტრები არიან და ამ დროს შენ აპირებ, იმის მიუხედავად, რომ დაგტუქსოს და გაგინოს და ამ ფორმით შემოიყვანო ისინი ლუგარის ლაბორატორიაში, ამას რა დავარქვათ?! იმ ლაბორატორიაში, რომელშიც მუდმივად გემუქრება. ეს ხომ პირდაპირი მნიშვნელობით საქართველოს ანექსიის მცდელობაა მორიგ ჯერზე?!

– როგორც მოვისმინე, საუბარი იყო იმაზე, რომ სხვებთან ერთად ნახონო და ეს იმისთვის ხომ არ კეთდება, რომ რუსულ პროპაგანდას ბოლო მოეღოს?

– სხვებთან ერთად არ უნდა აღმოჩნდეს ოკუპანტი. ის სხვები არიან ჩვენი მეგობრები და პარტნიორები. ოკუპანტი სხვებთან ერთად? იმ სხვებს ის პრივილეგია აქვთ, რომ ისინი ჩვენი მეგობრები არიან და მათ ჩვენი მიწები არ მიუტაცებიათ. სხვებთან ერთად ოკუპანტი როგორ უნდა შემოიყვანო?!

არის ჟენევის საერთაშორისო ფორმატი, არსებობს სხვა საერთაშორისო ფორმატებიც. ვერ ხედავთ, რომ იმ ფორმატების ნიველირება ხდება?! წინ რატომ წამოიწია კარასინის ფორმატმა? ვინ არის ეს კაცი? განვიხილოთ. რატომ უნდა ჩაანაცვლოს კარასინის ფორმატმა ჟენევის ფორმატი?! ეს ხომ პოლიტიკური შეცდომაა.

– ეს პოლიტიკა წლებია ტარდება. გვახსოვს, რომ თავის დროზე ეს აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებათა ფორმატი მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებისთვის შეიქმნა, თუმცა დღეს უკვე პოლიტიკურ ფორმატად ტრანსფორმირდა.

– რა მოიტანა ამ ფორმატმა საქართველოსთვის?! ჩვენ ხომ რაღაცას იმისთვის უნდა ვაკეთებდეთ, რომ რაღაცა შედეგი მოიტანოს. რა მოიტანა გავრილოვის ჩასმამ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში?! გარდა იმისა, რომ ღირსეული პროტესტი გამოთქვეს ადამიანებმა და პროტესტის მონაწილეებს თვალები დასთხარა ხელისუფლებამ. გარდა შეურაცხყოფისა, საქართველოს რა მიუღია გავრილოვ-კარასინ-ზუგანოვებისგან?! სამართლებრივად შევხედოთ, ოკუპანტი ქვეყანაა და როცა ამას აკეთებს, რუსეთის ადმინისტრაციისთვის დასაშვებს ხდი ინსტიტუციურ მოახლოებას, რის უფლებასაც ამ რუს ფეოდალს არ მივცემთ.

– თქვენი გზავნილი ისაა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენ ვხდებით რუსეთის გუბერნია ივანიშვილის პოლიტიკით და ეს იწვევს თქვენ პროტესტს?

– კი ბატონო. ეს არის ჩემი პოზიცია და თითოეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ.

– რამდენიმე დღის წინ „ტვ პირველზე“, „რეაქციაში“ ვნახე, რომ თქვენ და ნინო ბურჯანაძე გამოელაპარაკეთ ერთმანეთს. ერთმანეთის მიმართ თქვენი დამოკიდებულებები უკანა პლანზე გადაწიეთ და შერიგდით?

– ალბათ იმას გულისხმობთ, რომ ნინო ბურჯანაძემ კარგ კონტექსტში მომიხსენია. ეს დეტალი იყო, თორემ მაგიდასთან ჩვენ ერთმანეთს არ გამოვლაპარაკებივართ. ამ ერთ საკითხთან – არჩევნების ტოტალურ გაყალბებასთან დაკავშირებით ერთ მაგიდასთან ვსხედვართ, მაგრამ ჩემთვის უცვლელად მიუღებელია რუსეთის ნებისმიერი მომხრე. მათ შორის, ეს იქნება ბურჯანაძე თუ ნებისმიერი სხვა.

– დღესაც რუსეთის მომხრედ მიიჩნევთ ბურჯანაძეს?

– განა მე მივიჩნევ, რუსეთის მომხრეა.

– დამოკიდებულება აქვს შეცვლილი და აქედან გამომდინარე გეკითხებით.

– მე არ მინახავს მისი დამოკიდებულება შეცვლილი. როდესაც გამოვა და დაგმობს რუსეთს და როდესაც იმ ჩანაწერთან დაკავშირებით მოვისმენ მის სამართლებრივ განმარტებას, როდესაც რუსეთის ჯარის შემოყვანას ითხოვდნენ ის და მისი ვაჟი, მაშინ ვილაპარაკებ ამაზე. მე ყოველთვის ვცდილობ ფაქტებით ვისაუბრო. არასდროს არ ვლაპარაკობ ჩემი რაღაცით. ამიტომ, არ ვთვლი, რომ დამოკიდებულება შეცვლილი აქვს.

რაც შეეხება არჩევნების ტოტალურ გაყალბებას, დიახ, ჩვენ ერთად ვსხედვართ, იმიტომ, რომ არჩევნების გაყალბება სახელმწიფო ინსტიტუციის მიტაცებაა.

მეორეა ის, რომ დღეს ამ გადმოსახედიდან ბურჯანაძეს რუსეთის მომხრედ მივიჩნევ, მაგრამ ის რუსეთისთვის საინტერესო ფიგურა აღარ არის. იმიტომ რომ, ასე რომ ვთქვათ, არალეგიტიმური ფიგურაა, ანუ ხალხი რომ ლეგიტიმაციას არ აძლევს.

– დაბალპროცენტიანი მხარდაჭერა აქვს?

– რა თქმა უნდა და ის რუსეთისთვის საინტერესო ფიგურა აღარ არის. მე ამას შეურაცხმყოფელი კონტექსტით არ ვამბობ, უბრალოდ, პოლიტიკურ კვანძს ვხსნი. ის, რომ ის არის რუსეთი მომხრე, მე მგონი, ეს მას თავადაც არ დაუმალავს. იმიტომ, რომ უბლოკო სტატუსი, რასაც ის ითხოვდა, ეს არის ძალიან დიდი მავნებლობა და უდიდესი შეცდომა. იმიტომ, რომ კარგად იცით, მარტო დარჩენილი საქართველო ვის ლუკმად იქცევა და ეს ყველაფერი საქართველოს გამოუცდია. თავში აზრადაც არ მომივა, რომ პოლიტიკური ურთიერთობა გაგრძელდეს ჩემსა და რუსეთის ნებისმიერ მომხრეს შორის. მაგრამ, როდესაც არჩევნები ვერ ტარდება სამართლიანად, ამის გაპროტესტების და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნის უფლება ყველას აქვს.

გახსოვთ, რომ ერთი წლის წინ მაგიდასთან არ დავჯექი, რადგან რუსული ვექტორიც იყო იქ. იქ მე დავჯექი მხოლოდ პროპორციული არჩევნების ნაწილზე, ხოლო როგორც კი სხვა თემებზე დაიწყო ლაპარაკი, მაგიდა დავტოვე.

– ანუ, ბურჯანაძესთან ამ საკითხის გარდა ნებისმიერ საკითხზე თანამშრომლობას, თუნდაც თემატურ საკითხებზე, გამორიცხავთ?

– როგორ შეიძლება მქონდეს ურთიერთობა?!

– იმ საკითხებზე, რაც რუსეთს არ უკავშირდება, მაგალითად, სასამართლოს თემაზე.

– მე მინდა სასამართლო რეფორმა. დასავლური ვექტორის სასამართლო რეფორმები. პოლიტიკოსს, რომელსაც სურს რუსეთი, რომელიც ჩემი ქვეყნის ოკუპანტია, ბუნებრივია, მას სურს მისი სამართლებრივი სისტემაც.

– პირიქით აქვს გაცხადებული ბურჯანაძეს, რომ დასავლური ღირებულებები უნდა.

– მაპატიეთ, მაგრამ დემოკრატიული რუსეთი არ არსებობს. პოლიტიკოსს თუკი სურს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„დღეს მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებს“

ლევან ალაფიშვილი: „ამ ხელისუფლებას სენად ექცა, არავის არაფერი ჰკითხოს და ყველას გაემიჯნოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, არსებული შეზღუდვების ფონზე ვხედავთ, ადამიანები ქუჩაში გამოდიან და აპროტესტებენ შეზღუდვებს. ისინი აცხადებენ, რა მნიშვნელობა აქვს, ვირუსი მოგვკლავს თუ შიმშილი. არღვევენ თუ არა ეს ადამიანები კონსტიტუციას და იცავს თუ არა მათ უფლებებს რამე?

– ეს პროცესები არის ხელისუფლების „დამსახურება“. გაზაფხულზე ხელისუფლება ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს იღებდა და დღეს ის თავისი ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების მძევალია.

ყოველგვარი გამართლების გარეშე იღებდა ისეთ გადაწყვეტილებებს, როდესაც საკუთარ ავტომობილში მძღოლის გვერდით ოჯახის წევრის განთავსებისთვის, სახელმწიფო მას აჯარიმებდა. ასე გამოწერეს სამიათასიანი ჯარიმები ისე, რომ ამის გონივრული გამართლება არ არსებობდა.

აღარაფერს არ ვსაუბრობ რამდენად კონსტიტუციური იყო საგანგებო მდგომარეობის შემოღება. სხვათა შორის, ოპოზიციის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ეს გადაწყვეტილება პარლამენტმა მაშინ ერთხმად მიიღო. ოპოზიციამაც დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას მხარი. ამიტომ, ამ ყველაფრის შემდეგ, რატომ უკვირს ვინმეს მოქალაქეების დღევანდელი ქცევა?! როდესაც გადაჭარბებულია ხელისუფლების ქმედება, ის საზოგადოებისგან იღებს ადეკვატურ პასუხს. ადამიანებმა ნახეს, რომ მსხვერპლი იყო ერთი და მთავრობამ იმოქმედა ისე, როგორც იმოქმედა. დღეს, უკვე როდესაც მსხვერპლი დღეში ათეულობით არის, ადამიანები მაინც იგივე ლოგიკით მოქმედებენ და ეს მხოლოდ ხელისუფლების ბრალია. ეს იყო შეცდომა, არასწორად მიღებული გადაწყვეტილება.

– ეს არის თუ არა დაუმორჩილებლობა? ბათუმში ადამიანები გამოდიან, რუსთავში ყვავილების გამყიდველები გამოვიდნენ.

– გულწრფელად თუ გეტყვით მე მომწონს მოქალაქეთა კანონმორჩილება, როდესაც ისინი ცდილობენ ამ არაგონივრულ, გაუაზრებელ შეზღუდვებს კანონიერი გზით აუარონ გვერდი. პრაქტიკულად ხელისუფლებას დასცინონ. მთავრობას მოქალაქეები ეუბნებიან, არეგულირებ იმას, რაც შენ არ გეხება, სადაც შენი ადგილი არ არის. დღეს, მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ვიღაცამ ხომ უნდა იფიქროს ამაზე?!

ისეთი რეგულაციებია თუნდაც პირბადის ტარებასთან დაკავშირებით, რომ სრულიად გაუგებარია. თუ ადამიანი ტრიალ მინდორში მარტო მიდის პირბადის გარეშე, რატომ უნდა დააჯარიმო?! ამიხსნის ვინმე, რა გამართლება აქვს პირბადის ტარებას ამ დროს?! ასეთი რაღაცები დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი ფაქტები იწვევს შემდეგ ხელისუფლების დაუმორჩილებლობასაც და დაცინვასაც, ავტომობილში ცოლქმრის დაჯარიმების არ იყოს.

– როდესაც პრეზიდენტი დეკრეტით შევიდა პარლამენტში, ოპოზიცია ჩაერთო პროცესში და ეს იყო ერთობლივი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი გადასახედიდან შეცდომა იყო ეს გადაწყვეტილება. დღეს მარტოა ხელისუფლება ამ პროცესში. მათი მხრიდან არის ეს შეცდომა?

– რა თქმა უნდა და ამას ისინი ვერ აცნობიერებენ. ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც მართლაც რთული ვითარებაა, ერთადერთი გადარჩენა არის პასუხისმგებლობის გადანაწილება. საზოგადოების კონსოლიდაცია და ფართო ჩართულობა არის რეალური გამოსავალი.

დღეს, არა თუ ოპოზიცია, საზოგადოებაც კი გარიყულია პროცესიდან. რას ვუყურებთ – დანარჩენი საზოგადოება დასცინის ამ ყველაფერს და მთავრობა ამ რთულ ვითარებაში პრობლემებთან მარტოა დარჩენილი, მაგრამ ეს მისი არჩევანია. ჩვენი ბრალი კი არ არის. მან მიიხურა კარი. პოლიტიკოსებს თავი რომ დავანებოთ, პროფესიონალები როდის ჩართო პროცესში?! ამ ხელისუფლებას სენად ექცა, არავის არაფერი ჰკითხოს და ყველას გაემიჯნოს, მაგრამ სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია საზოგადოებისგან გამიჯვნა და ეს საზოგადოებისგან გამიჯვნაა. ამით ის საკუთარი თავის მარგინალიზაციას ახდენს, რაც არ არის სწორი, ამაზე ვიღაც უნდა დაფიქრდეს. წარმოუდგენელია, ასეთი კრიზისის დროს, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლება, პოლიტიკურ ოპონენტებს არ გაუნაწილოს პასუხისმგებლობა და თუკი ისინი უარს იტყვიან, ეს ხომ მათვე შემოუბრუნდებათ უარყოფითად. ამის მიხვედრას რა უნდა?! ოღონდ ვინმემ აიღოს პასუხისმგებლობა, გაინაწილოს ეს პასუხისმგებლობა და რა ჯობია ამას?! ელემენტარულად ოპონენტი არ ეყოლებათ. საყვედურის მთქმელი არ ეყოლებათ, ამას მაინც ხომ უნდა მიხვდნენ?! უფსკრულის გაღრმავებას კი არა, მის როგორმე ამოვსებას უნდა ცდილობდნენ და ჩვენ რას ვხედავთ?! ერთ მხარეს არის მთელი საზოგადოება და მეორე მხარეს რამდენიმე ასეული ჩინოვნიკი ჩვენი გადასახადების შედეგად გამდიდრებული. ღმერთმა ყველა დაგვიფაროს მშიერი ბუნტისგან, სოციალური აჯანყებისგან. თუკი ასეთი რაღაც მოხდა, სახელმწიფო უბრალოდ გაქრება, ვინმეს ეჭვი ხომ არ ეპარება, რომ ამით რუსეთი ისარგებლებს და გაგვაქრობს.

– ადამიანების მასობრივად გამოსვლის საფრთხეს ხედავთ?

– რა თქმა უნდა, შიმშილი ძალიან მძიმე პერსპექტივას შეიძლება უქადდეს ნებისმიერ ხელისუფალს. საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი შეუძლებელია შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, მას კონსტიტუცია იცავს. თუ სახელმწიფო დაიმხო თავზე და კონსტიტუცია თავზე დაგვახია და თუ ტოტალიტარიზმი გამოგვიცხადა, ამაზე არ ვსაუბრობ. თუმცა, ასეთი ხელისუფლებები როგორ ასრულებენ, ესეც ცხადზე ცხადია.

თამარ ჩხეიძე: „ჩვენ რომ ნამდვილი საზოგადოება ვიყოთ, ამ არაადამიანურ შეზღუდვებს არ დავუშვებდით“

„შეთქმულების თეორიის ავტორობაც რომ დამაბრალონ, მაინც ვიტყვი, რომ ეს დამანგრეველი ზომები რუსეთის მითითებით სრულდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში არსებულ მრავალმხრივ კრიზისულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

– ოპოზიციამ, რომელიც 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგს ისევ აპროტესტებს, მკაფიოდ გამოაცხადა, რომ ბარიერგადალახული პარტიები არ შედიან პარლამენტში და მოითხოვენ ახალ არჩევნებს. როგორ აფასებთ დღეს არსებულ ვითარებას?

– ის, რასაც ოპოზიცია ამ კუთხით დღემდე აკეთებდა, სწორია. ჯერჯერობით, ოპოზიციის მოქმედება სწორია. კარგია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ვერავის გადაბირება. თუმცა, პროცესი დასრულებული არ არის. ხელისუფლებას ექნება მცდელობა, ვინმე გადაიბიროს. ერთი-ორი კაცი რომც გადაიყვანოს თავის მხარეს, ამით სურათი არ შეიცვლება. ხელისუფლებას მაინც აქვს ამის იმედი და სწორედ ამას ებღაუჭება.

– ადრე პარლამენტში არშესვლას კოზირი უწოდეთ. გამოდის, რომ კოზირი რჩება?

– პარლამენტში არშესვლა, გაყალბებული არჩევნებით ფორმირებული პარლამენტის ბოიკოტი ის უტყუარი კოზირია, რომელიც ახლა ქვეყანას სჭირდება. ეს საჭიროა ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის და არა მხოლოდ ოპოზიციისთვის. გაუმართლებელია ზოგიერთ ოპოზიციონერში გაჩენილი პანიკა. გვარებს არ დავასახელებ. ისე ვიტყვი, რომ ოპოზიციაში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მოთქვამენ იმის გამო, რომ მომავალი პარლამენტი ერთპარტიული იქნება. პარლამენტში ოპოზიციის შეუსვლელობა განაპირობებს ერთპარტიულობას. ესაა კოზირი და ამას მოთქმა და ტირილი კი არა, გამოყენება უნდა. ეს არის ის უპირატესობა, რომლის დახმარებით უნდა ეშველოს ქვეყანას და მის დემოკრატიას. ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ დემოკრატია ფაქტობრივად არც ერთ სფეროში არ გვაქვს.

– საზოგადოება 28 ნოემბრიდან ამოქმედებულ მკაცრ ზომებსაც არადემოკრატიულად და დამაზიანებლად მიიჩნევს.

– ვერ წარმოიდგენთ, ისე ვარ განრისხებული ამ შეზღუდვებით! ეს სასიკვდილოა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნისათვის. მიკვირს, რომ ოპოზიცია ამაზე თითქმის ხმას არ იღებს. აქამდე ამ საკითხზე ბევრი უნდა ელაპარაკათ და

„ჯერჯერობით, ოპოზიციის მოქმედება სწორია“

მოთხოვნები ადრევე წამოეყენებინათ.

– გამოცხადებამდე ოპოზიციასაც არ ეცოდინებოდა, რა მასშტაბის შეზღუდვები წესდება.

– რაღაც შეზღუდვები რომ შემოვიდოდა, ის ხომ ცნობილი იყო! ამ საკითხისათვის მეტი დრო უნდა დაეთმოთ. ასეთ მკაცრ ზომებს არავინ ელოდა. ხელისუფლება გვიცხადებდა, რომ ეკონომიკას აღარ გააჩერებდა. საბოლოოდ, გააჩერა. ის სფეროებიც კი, რომლებიც არ აუკრძალავთ, ვერ იმუშავებს ტრანსპორტის გაჩერების გამო. ეს ადამიანების გაწირვაა. როგორც ვატყობ, ოპოზიციაც ვერ აცნობიერებს, რა მომაკვდინებელია ადამიანებისათვის ტრანსპორტის აკრძალვა. ამას რომ აცნობიერებდნენ, სათანადო რეაგირება ექნებოდათ. ეს არის ქვეყნის ახალი გაუბედურება.

– გაზაფხულის საგანგებო მდგომარეობამაც დააზარალა ქვეყანა?

– ცხადია. მაშინ ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა ამას არა თუ მშვიდად, არამედ, ტაშითაც კი შეხვდა. ოპოზიციონერები აჰყვნენ ხელისუფლებას და კოვიდ-19-თან მებრძოლი სამედიცინო ელიტა ლამის წმინდანებად შერაცხეს. მე ამას თავიდანვე ვაპროტესტებდი. მახსოვს ასევე „გირჩის“ ნეგატიური რეაქცია. „გირჩმა“, სხვებისგან განსხვავებით, ის კარანტინი არ მიიღო. დღეს ოპოზიცია უფრო კრიტიკულია, მაგრამ ძირითადად უღიმღამო და გაუბედავი განცხადებებით შემოიფარგლება.

– ხელისუფლებას ასეთ დროს მსოფლიოში დანერგილი ანალოგიები მოჰყავს.

– ზომებს სხვა სახელმწიფოებშიც იღებენ, მაგრამ ისინი უმკაცრესი არ არის. საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქ არ ჩერდება. ბუნებრივია, ზარალი სხვაგანაც არის.

– სხვა ქვეყნებში ცხოვრების დონეც უფრო მაღალია და ადამიანები არ შიმშილობენ.

– სწორედ იმის თქმა მინდა, რომ ის, რაც დამაზარალებელია სხვა სახელმწიფოებისათვის, ის სასიკვდილოა საქართველოსთვის. ეს არის ქვეყნის დანგრევა და ადამიანებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, მათი მშიერი დატოვება. ეს არის ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა. ეს უფლებების ისეთი შელახვაა, რომელიც საარჩევნო უფლების წართმევის ტოლფასია. არიან თავისუფლად მოაზროვნე პიროვნებები, რომლებსაც არ სწამთ შეთქმულების თეორიების. შეთქმულების თეორიის ავტორობაც რომ დამაბრალონ, მაინც ვიტყვი: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დამანგრეველი ზომები (ფაქტობრივად, ლოკდაუნი) რუსეთის მითითებით სრულდება.

– ხელისუფლება სულ ამბობდა, ეკონომიკას არ გავაჩერებო.

– დიახ, ამბობდა. ბიზნესის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ და დაპირება მისცეს, მაგრამ მაინც ყველაფერი ჩაკეტეს. ამას საეჭვოდ ემთხვევა ინფორმაცია ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოების დაწყების შესახებ.

– ენგურჰესი თებერვლიდან უნდა გაეჩერებინათ.

– ახლა ასეთი ინფორმაცია მოვისმინე. ის, რაც ვითომ ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვით აიხსნება, სინამდვილეში სულ სხვა რამეა. ეს არის ნგრევის და კრიზისის საბაბი და მას არაფერი აქვს საერთო ჯანმრთელობის დაცვასთან და კორონავირუსთან ბრძოლასთან. საკაშვილისტი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ობიექტურები უნდა ვიყოთ. ცნობილია, რისთვის დასჭირდა რუსეთს საკაშვილის მოშორება.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ საკაშვილის დროს საქართველო ოდნავ გათანამედროვდა, ეკონომიკამ კი ცოტა ამოისუნთქა. იყო პრობლემები, მაგრამ ადამიანებს ჰქონდათ მცირე შემოსავალი და თავს ირჩენდნენ. ახლა ის სუსტი ეკონომიკაც აღარ არსებობს, ხალხი კი მშიერი დატოვეს. ეს რუსეთის დავალებით და გახარიას ხელით გააკეთა ივანიშვილმა, რომელიც მიზანმიმართულად შლის და ანგრევს ყველაფერს. კორონავირუსთან სხვანაირად უნდა ებრძოლათ.

– როგორ?

– უნდა გაგრძელებულიყო ნორმალური ცხოვრება სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვით. ამის პარალელურად მოსაწყობი იყო საავადმყოფოების სისტემა გადამზადებული ექიმებითა და აღჭურვილობით. გარდა ამისა, არ უნდა დაეშვათ პანიკა. პანიკის ბრალია, რომ ყველა ინფიცირებული საავადმყოფოებში მიიწევს.

– პანიკა რომ არ იყოს, საავადმყოფოებიც არ იქნებოდა გადატვირთული?

– რასაკვირველია. ადამიანებს ყოველდღე აშინებენ გარდაცვალებულთა მზარდი რაოდენობით. სიკვდილის ქრონიკის შემყურე ადამიანებს, თუ რაიმე სიმპტომი აღმოაჩნდებათ, დაუყოვნებლივ კლინიკაში უნდათ დაწვენა. ჰგონიათ, რომ შინ მოკვდებიან. პანიკა შეგნებულად ითესება. ამის გამო, ასევე ახალი შეზღუდვების მიზეზით ადამიანების უმრავლესობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მძიმეა. ასეთი ისტერიკა რომ არ იყოს, კლინიკაში მოხვდებოდნენ მძიმე ავადმყოფები, დანარჩენებს კი ჯანდაცვის პირველადი რგოლები მიხედავდნენ და გაუწევდნენ კონსულტაციებს. ჩვენ რომ ნორმალური საზოგადოება ვიყოთ, ამ არაადამიანურ შეზღუდვებს არ დავუშვებდით და გავაპროტესტებდით. ოპოზიციას და ხალხს შეუძლია, შეზღუდვებისა და კორონავირუსის თემა არჩევნების საკითხს დაუკავშირონ.

„ქვეყნის სათავეში რუსი კორუფციონერი ფეოდალია, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ოკუპანტი რუსეთი თავისი სამართლებრივი სისტემით, ეს ჩემთვის მიუღებელია. მე მხოლოდ პოლიტიკურად ვსაუბრობ და არავისთან არაფერი საქმე არ მაქვს პოლიტიკის გარდა.

– მართალია, რომ ხელისუფლებამ ფაქტობრივად აგიკრძალათ აქციები, მაგრამ ბათუმის აქციამაც აჩვენა, რომ ოპოზიცია დღის წესრიგში ყოფნას ცდილობთ. რა მოლოდინები გაქვთ?

– მშიერი და გამწარებული ხალხის გაჩერება იმით, რომ გარეთ არის უმძიმესი სენი – კორონა, ხელისუფლებას გაუჭირდება. ხელისუფლება ამბობს, რომ კორონა სასიკვდილო სენია და, რა თქმა უნდა, ეს ასეა. მაგრამ მოდი, ამ კუთხით შეხედოს მან პროცესს, რომ როგორ არ უნდა ხელისუფლება ხალხს, რადგანაც ამ სასიკვდილო სენის დროს თავს წირავს და გარეთ გამოდის, რათა ხელისუფლება შეიცვალოს. შეხედეთ, რამხელა თავგანწირვაა.

– თუმცა ხელისუფლება ამას სხვანაირად თარგმნის და არა მარტო ის, როდესაც უპასუხისმგებლო ოპოზიციას გეძახით.

– დენდროლოგიურ პარკს, მათი პრესსამსახურის გავრცელებული ინფორმაციით, 100 000 ადამიანი სტუმრობდა. ამ ფაქტის, ასევე რესტორნებში გრიალის და საარჩევნო უბნებზე ტაშფანდურების გამართვის შემდეგ უფლება აღარ აქვთ ამაზე ისაუბრონ. მათ დიდი ხანია საკუთარ თავს თვითონ ჩამოართვეს ადამიანების ჯანმრთელობაზე საუბრის უფლება.

– კურიოზული ამბავი ვრცელდება მაღაზიებთან დაკავშირებითაც, როდესაც რაღაც პროდუქციის გაყიდვა შეუძლიათ და, მაგალითად, საახალწლო პროდუქციის არა. ამის ლოგიკა მე ვერ ამოვხსენი და თქვენ თუ მიხვდით?

– ეს მიდის რუსულ კორუფციულ მართვის სტილთან. მე გეუბნებით, რომ სათავეში არის ფეოდალი. მე მას დავარქვი ცრუ მეფე თავისი ფეოდალური სისტემით. ის, რომ მაღაზიებში რაღაც პროდუქციის გაყიდვა შეიძლება და რაღაცის – არა, ეს რუსული ფეოდალური მართვის სტილია. კორუფციონერები არიან. წილებში არიან და ეს მდგომარეობაა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. აუცილებლად წავლენ.

– მოლაპარაკებები ხელისუფლება-ოპოზიციას შორის კონკრეტული შედეგით დასრულდება?

– კი, კონკრეტული შედეგით დასრულდება. თუ არ დასრულდება და პარლამენტში არშესვლა გარდაუვალია. გამორიცხულია ეს. იმიტომ, რომ სახელმწიფოს ჩვენ ვერ დავთმობთ. ჩვენ სამართლებრივად ვიქცევით და ეს ჩანს იქიდან, რომ ოპოზიციამ სარჩელიც კი შეიტანა სასამართლოსა და პროკურატურაში. განა იმიტომ შევიტანეთ, რომ სასამართლოს ვენდობით, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიციას დავანახეთ, რომ ჩვენ სამართლებრივი ჭრილიდან არ გავდივართ. არც ერთი სარჩელი არ მიიღო სასამართლომ თუ საოლქოებმა და არ განიხილა არაფერი პროკურატურამ.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა პირდაპირ თქვა, რომ სასამართლოში კლანური მმართველობაა. რაც ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ და სალომე სამადაშვილმა ერთხელ გააჟღერეს, ის ოპოზიციამ 1%-ით დავუშვით, მაგრამ ვთქვათ, შევიდა ოპოზიცია პარლამენტში და გააკეთა კომისია, მერე ის საქმე უნდა დაბრუნდეს სასამართლოში. სახელმწიფო დეპარტამენტი ამბობს სასამართლოზე კლანიაო და კლანთან რა უნდა გააკეთო?! თავები მოვიტყუოთ და ხალხი მოვატყუოთ?! ასე არ გამოვა ეს ამბავი. სახელმწიფოს დაკარგვის წინაშე ვდგავართ და თუ ამ კაცმა მიიტაცა სახელმწიფო, მიტაცებული სახელმწიფოს გადაბარება მტერზე არ გამოვა, ამიტომ ახლა უნდა ვიყოთ მონოლითურად შეკრული ოპოზიცია, ცხადია, ხალხთან ერთად.

რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოში

საქმე N 29940-07-20

მოსარჩელე:

მარინა იოსებაშვილი, პ/ნ: 327220539

რწმუნებული პირის, ადვოკატ შემეშის მეშვეობით

მისამართი: 67133 თელ-ავივი, ჰასმონელების ქუჩა 100.

ტელ: 03-5628181, ფაქსი: 03-6244352.

ელ-ფოსტა: shemesh-adv@013net.net

მოპასუხე: დავით ლეჟავა, საქართველოს პასპორტი N 05AC40215

<u>შეტყობინება სათანადო ზომების მიღების შესახებ</u>

მოპასუხეს:

1. გაცნობებთ, რომ 14.07.20 წელს თქვენ წინააღმდეგ შეტანილ იქნა სარჩელი ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნით, მოსარჩელის მიერ, რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოში, ისრაელის სახელმწიფოში. საქმე N 29940-07-20.
2. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენ აპირებთ თავის დაცვას, უნდა წარმოადგინოთ შესაგებელი, თანმხლები დოკუმენტაციით (ფორმა 43 ბ, საპროცესო კანონი), როგორც ითხოვს 1984 წლის სამოქალაქო საპროცესო კანონის 343 (ბ) (1) მუხლი, წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან <u>60 დღის განმავლობაში.</u> მოპასუხის მოწვევით სასამართლოში, ისრაელში. სხვა შემთხვევაში შესაძლოა თქვენ წინააღმდეგ გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება დაცვის გარეშე.
3. სარჩელის ასლი არის სასამართლოში, შესაძლებელია მისი მიღება აგრეთვე მოსარჩელის რწმუნებული პირისაგან.

დანიელ კეც,

მოსარჩელის ადვოკატი

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ბრალდებულები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა კვლავ პატიმრობაში რჩებიან. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გადასინჯა და ძალაში დატოვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ზვიად შარაძემ გუშინ, 30 ნოემბერს, გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე დაკავებულების მიმართ კვლავ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, დაცვის მხარე კი ბრალდებულების პირადი თავდებობით გათავისუფლებას მოითხოვდა.

საქმის პროკურორი მიხეილ სადრაძე აცხადებდა, რომ ბრალდებულების პატიმრობაში დატოვებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საფუძველი და საფრთხე არსებობდა, რაც კონკრეტულ მტკიცებულებებს ემყარებოდა. ამასთან, პროკურორი განმარტავდა რომ დაკავებულების მხრიდან არსებობდა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების ფაქტორი, ასევე გამოძიებისა და მართლმსაჯულების პროცესში უარყოფითი მონაწილეობის მაღალი რისკები.

დაცვის მხარე კი აცხადებდა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გაგრძელების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან წარმოდგენილი იყო მათ მიერ დანიშნული ექსპერტის დასკვნა, რომლითაც, ადვოკატების განმარტებით, დასტურდება, რომ სადავო რუკები მცდარია და, მათ შორის, სწორედ, ამ მიზნით არ იყენებდნენ ბრალდებულები მათ საზღვრის დელიმიტაციისას.

ნატალია ილიჩოვასა და ივერი მელაშვილს პირად თავდებში 214 ადამიანი, მათ შორის, პოლიტიკოსებიც უდგებოდნენ. სასამართლოში საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს ბრალდებულებმაც.

წინასასამართლო სხდომა 28 იანვარს 14:00 საათზე გაიმართება, ვინაიდან საგამოძიებო პერიოდის გაგრძელება სახელმწიფო ბრალდებამ მოითხოვა.

ივერი მელაშვილის მეუღლის, თამარ სულაძის განცხადებით, ის კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს და საქმეებზე განაჩენი „ზემოდან“ წყდება.

ამის შესახებ სულაძემ გუშინდელი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტებს განუცხადა.

– უსამართლობა მოხდა! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენ სასამართლო არ გვაქვს. ამ გადაწყვეტილებას არ ველოდი, მოკლედ, ზემოდანაა დავალება და ყველაფერს ისე წყვეტენ, როგორც უნდათ. როგორ ველოდი, როცა ძალიან ბევრი მტკიცებულება იყო, რომ ეს ხალხი გამოეშვათ. არანაირი საფუძველი დაპატიმრების არ არის, რადგან ის რუკა, რასაც ასე დიდის ამბით ატრიალებენ, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საერთოდ გამოუსადეგარია – წერტილი წერტილს არ ხვდება და ობიექტი – ობიექტს. წინასწარი დაკავება რა სისულელეა! ეს ადამიანები რატომ უნდა დააკავო?! რას იზამენ?! – განაცხადა თამარ სულაძემ.

ივერი მელაშვილის ადვოკატის, ედუარდ მარიკაშვილის განცხადებით, ამ საქმეზე დაკავებულებისთვის განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა, რაც „მოსამართლეს, როგორც ჩანს, არ აღმოაჩნდა“.

ადვოკატის განცხადებით, დაცვის მხარე აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

– ექსპერტი არის ირაკლი უგულავა. ის არის გეოსაინფორმაციო ინჟინერიის სპეციალისტი, მას აქვს მუშაობის 21 წლიანი სტაჟი. მთავარია ის, რომ ამ დასკვნაში წერია ის, რაც პროკურატურას არ აწყობს. იმაში, რომ პროკურატურამ ეს დასკვნა არ მიიჩნია მნიშვნელოვნად, არაფერი არ არის გასაკვირი, ისევე, როგორც ჩვენთვის არის მიუღებელი ის მტკიცებულებები, რომლებიც მათ გააჩნიათ. ძალიან სამწუხაროა, რომ სასამართლომ ეს მტკიცებულებები არ გაიზიარა. ამ დასკვნებს ჩვენ არსებითი სხდომაზეც წარვადგენთ, – განაცხადა მარიკაშვილმა.

კითხვაზე, არის თუ არა ექსპერტი პროფესიით კარტოგრაფი, ადვოკატმა განაცხადა, რომ „ძალიან ბევრი ექსპერტი, რომელიც თვითონ პროკურატურასაც ჰყავს ჩართული, არ არის პროფესიით კარტოგრაფი“.

სხვა პოზიცია აქვს საქმის პროკურორ მიხეილ სადრაძეს.

– სასამართლომ სრულად გაიზიარა ჩვენი პოზიცია, ჩვენი არგუმენტაცია და ბრალდებულების მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა ძალაში დატოვა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტით ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენა და ასევე ბრალდებულების მხრიდან, როგორც გამოძიების, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე უარყოფითი მონაწილეობა შესაბამისი მტკიცებულებებით და სტანდარტით, არსებობს.

ამ საქმეზე გაგრძელდა გამოძიება და შესაბამისი შედეგების თაობაზე საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას.

მოტივთან დაკავშირებით, კონკრეტული მიმართულებები გამოკვეთილია, ამაზე აქტიურად ვმუშაობთ და როცა გამოძიება დასრულდება, აბსოლუტურად ყველაფერს საზოგადოებას ვაცნობებთ, – განაცხადა სადრაძემ.

მისივე თქმით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა წამყვან სპეციალისტებს აქვთ შედგენილი.

– ექსპერტიზის ეს დასკვნა, რომელიც დაცვის მხარემ წარმოადგინა, მხოლოდ ერთი პირის შედგენილია, არც შინაარსობრივად, არც ყველა რეკვიზიტით ის ექსპერტიზის დასკვნა არ არის და ვერც იქნება. კვაზი ექსპერტიზის ეს დასკვნა ბრალდებულების ადვოკატებმა შეადგენინეს გიორგი უგულავას, გიგი უგულავას ძმას. შინაარსობრივად, ეს დასკვნა არ არის ექსპერტიზის დასკვნა, ამას ცალსახად იმიტომ ვიმეორებ, რომ ექსპერტიზის დასკვნას აქვს თავისი სტანდარტები – რა მეთოდები, რა ლიტერატურა იქნა ექსპერტიზის მიმდინარეობისას გამოყენებული, მითითებული საერთოდ არ არის.

რაც შეეხება სტანდარტებს, ეს შინაარსობრივად კარტოგრაფიული უნდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, ეს ამ დარგის სპეციალისტმა უნდა შეასრულოს, ჩვენი ექსპერტიზა ამ დარგის წამყვან სპეციალისტებს აქვთ შედგენილი და კიდევ გარკვეულ კითხვებს პასუხი აუცილებლად გაეცემა, მიმდინარე პროცესშია, – განაცხადა სადრაძემ.

კითხვაზე, თუ რაზე მიანიშნებს, როცა აცხადებს, რომ ექსპერტი გიგი უგულავას ძმაა, პროკურორი პასუხობს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ინფორმირებისთვის განაცხადა.

– ივერი მელაშვილის ადვოკატები აცხადებენ, რომ ამ საქმეში მტკიცებულება არ არსებობს, 8 ოქტომბრის შემდეგ, უამრავი მტკიცებულება მოვიპოვეთ მიმდინარე გამოძიებისას. 8 ოქტომბრის შემდეგ მათ მტკიცებულება არ მოუთხოვიათ, ჩვენ გვაქვს ვალდებულება, რომ თუნდაც, ყოველდღე მოითხოვონ მასალები, გადავცეთ, მაგრამ მათ არც კი მოუთხოვიათ. ისეთ კითხვებს სვამენ, რომლებზეც პასუხიც ჩვენ მიერ გამოძიების პერიოდში მოპოვებულ ექსპერტიზაში არის. ჩემი აზრით, დაცვის მხარე ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, – აცხადებს სადრაძე.

შსს ბათუმში, „რეფორმერ ფიტნესის“ დალუქვასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, შპს „ონლაინ მეჯიქში“ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიუხედავად, კომპანია კვლავ აგრძელებდა აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას, რის გამოც, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით დაიწყო.

„მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, განხორციელდა საგამოძიებო მოქმედებები შპს „ონლაინ მეჯიქ“-ში, რის შედეგადაც მოხდა აღნიშნული ფიტნეს კლუბის დალუქვა. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში რეაგირების მიზნით გადმოგზავნილი მასალები.

კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ შპს „ონლაინ მეჯიქ“ ე.წ. „რეფორმერი ფიტნესი“ არ დაემორჩილა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №922 დადგენილებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, გააგრძელა სპორტული/სავარჯიშო დარბაზის ფუნქციონირება, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10) მუხლის თანახმად, 2020 წლის 28 ნოემბერს დაჯარიმებული იქნა 10.000 ლარით.

აღნიშნულის შემდეგ, 2020 წლის 29 ნოემბერს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განმეორებით განახორციელა შპს „ონლაინ მეჯიქ“-ის ე.წ. „რეფორმერი ფიტნესის“ ინსპექტირება, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიუხედავად, კომპანია კვლავ აგრძელებდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას. ინსპექტირების მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადმოიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კერძოდ, იურიდიული პირის შემთხვევაში დაჯარიმებას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ასევე მის მიმართ ლიკვიდაციისა და დაჯარიმების ღონისძიების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ვადით“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მშობელს, რომელიც შვილებს მათხოვრობას აიძულებდა, პატიმრობა შეეფარდა

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ორი არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩადენილი შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე ბრალდებულ ვ.ე.-ს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

პროკურატურის ცნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ვ.ე.-მ სარგებლის მიღების მიზნით, შეიმუშავა არასრულწლოვნებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გეგმა.

„ექსპლუატაციის მიზნით, 2019 წლიდან აიძულა მასზე მატერიალურად და სხვაგვარად დამოკიდებული არასრულწლოვანი შვილები ლ.ე. და ლ.ე., რომლებსაც ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმით, კერძოდ, მოწყალების მიღების თხოვნით, 2020 წლის ნოემბრამდე უწევდა შრომით ექსპლუატაციას. არასრულწლოვნების მიერ მოწყალების თხოვნის შედეგად და წვრილმანი ნივთების გაყიდვით შეგროვებულ თანხებს ვ.ე. ისაკუთრებდა.

ვ.ე. არასრულწლოვან შვილებს ლ.ე.-ს და ლ.ე.-ს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობითა და მუქარით, აიძულებდა თბილისის სხვადასხვა უბნებსა და დღის სხვადასხვა მონაკვეთში, მოეთხოვათ და შეეგროვებინათ მოწყალება. ვ.ე.-მ თავის არასრულწლოვან შვილებს სავალდებულოდ დაუწესა მისთვის 20 ლარის ყოველდღე მიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა, არასრულწლოვნების მიერ მიტანილ თანხას კი ვ.ე. თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა.

ვ.ე.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-მ რუსეთის მოქალაქე დააკავა

ამოღებულია 1 კგ ჰეროინი, 8.390 ლარი და 400 დოლარი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე – 1973 წელს დაბადებული ა.გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, „ჰეროინის“ შემცველი 1 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება ამოიღო. ასევე, ამოღებულია 8.390 ლარი და 400 დოლარი. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1244 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1244 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 67 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად, 1177 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინაღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს. პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

მაია სანდუ: „მოლდოვის მთავრობა უნდა გადადგეს!“

მოლდოვის არჩეული პრეზიდენტი მაია სანდუ აცხადებს, რომ ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობა უნდა გადადგეს.

– რას ვფიქრობ იგორ დოდონის მთავრობაზე? არჩევნებმა აჩვენა, რომ ადამიანებმა ხმა მისცეს ამ მთავრობის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, როგორ ახორციელებს იგორ დოდონი პოლიტიკას. ეს მთავრობა უნდა წავიდეს. გადადგომამდე კი მინისტრთა კაბინეტმა თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება, – განაცხადა მაია სანდუმ გუშინ, 30 ნოემბერს, გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, დნესტრისპირეთში რუსი სამხედროების ოპერატიული ჯგუფი იმყოფება, რომელთან დაკავშირებითაც მოლდოვასთან შეთანხმება არასდროს მომხდარა.

ამ სამხედროებმა დნესტრისპირეთის რეგიონი უნდა დატოვონ.

– სახელმწიფოს პოზიცია არის ის, რომ ეს სამხედროები უნდა გავიდნენ და იარაღი გაიტანონ მოლდოვის ტერიტორიიდან, – განაცხადა მაია სანდუმ და დასძინა, რომ ეს მისია სამოქალაქო დამკვირვებლების მისიამ უნდა ჩაანაცვლოს, რომელიც ეუთოს ეგიდით იმუშავებს.

– სამშვიდობოებთან დაკავშირებით არსებობს 1992 წლის შეთანხმება. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ახლა ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების განახლების რისკი არ არსებობს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მისია სამოქალაქო დამკვირვებლების მისიად უნდა გადაკეთდეს, რომელიც ეუთო-ს ეგიდით უნდა მუშაობდეს. ეს სიახლე არ გახლავთ. ამ პოზიციის წინ წაწევას მოლდოვა მრავალი წელია ახდენს, – განაცხადა მოლდოვის პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოლდოვაში 15 ნოემბერს გაიმართა, რომელშიც მაია სანდუმ ამომრჩეველთა ხმების 57.75 %-ით გაიმარჯვა, მოქმედმა პრეზიდენტმა იგორ დოდონმა კი არჩევნებში ხმების 42.25% მოიპოვა.

მთიან ყარაბაღში 55.000 მოქალაქე დაბრუნდა

მთიანი ყარაბაღის 55.000-ზე მეტი მცხოვრები თავიანთ სახლებს დაუბრუნდა.

ამის შესახებ ე.წ. მთიანი ყარაბაღის ტერიტორიული ადმინისტრაციისა და განვითარების

მინისტრმა ჟირაირ მირზოიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული 55.000-მდე პირიდან 23.000-ზე მეტი მოქალაქე ყარაბაღამდე რუსმა სამშვიდობოებმა გააცილეს, დანარჩენები კი თავად დაბრუნდნენ.

რაც შეეხება დაბრუნებული მოქალაქეების საცხოვრებლებით უზრუნველყოფის თემას, მირზოიანმა განაცხადა, რომ ამჟამად სტეფანაკერტში ყველა სასტუმრო და სხვა შენობა სავსეა. იმ მოქალაქეებისთვის კი, რომლებიც იძულებულები გახდნენ ის ტერიტორიები დაეტოვებინათ, რომლებიც აზერბაიჯანის კონტროლქვეშ გადავიდა, ე.წ. მთავრობა სოფლის სახლებს ქირაობს.

გარდა ამისა, მისი განმარტებით, დაბომბილი სტეფანაკერტის აღდგენითი სამუშაოები გრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

წყვილმა სახლის სხვენში განძს მიაგნო და პატრონს დაუბრუნა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ კოლუმბიაში ოჯახურმა წყვილმა საკუთარი სახლის სხვენში იპოვა ძველი მონეტები, რომელთა ფასი ათეულობით ათას დოლარს შეადგენდა.

ორ ყუთში, რომელთაც სხვენში 46 წლის ჯეიმს მუმფორდი და მისი მეუღლე კლარისა წააწყდნენ, 46 ცალი თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი ოქროს დოლარიანი იდო, რომლებიც 1849 წლიდან 1907 წლის ჩათვლითაა გამოშვებული და ასევე 18 ცალი მორგანული ვერცხლის დოლარიანი 1879-1904 წლების გამოშვება. ამ მონეტების ჯამური ღირებულება 25 ათას დოლარადაა შეფასებული.

წყვილმა ივარაუდა, რომ ეს განძი იქ დარჩათ იმ ადამიანებს, რომლებიც იქ ადრე ცხოვრობდნენ. ისინი მათ დაუკავშირდნენ და მონეტები დაუბრუნეს.

– მისი ადრინდელი მფლობელი ხანდაზმული ადამიანია, ასე რომ, სავარაუდოდ, მან შემთხვევით საკუთარ თავს დაუმალა, – განაცხადა კლარისა მუმფორდმა, – მან აღიარა კიდეც, რომ ისინი აღარც კი ახსოვდა.

ლეკვი პატრონებმა გამოგლიჯეს პითონს, რომელიც მის გაგუდვას ცდილობდა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის სანშაინ-კოსტის დასახლების მკვიდრმა ოჯახმა თავისი ორი თვის ლეკვი რომბისებური პითონისგან იხსნა.

საღამოს კელი მორისმა და მისმა მეუღლემ გაიგონეს, თუ როგორ წკმუტუნებდა მათი ლეკვი სახელად უოლი. ისინი გარეთ გამოვარდნენ და დაინახეს, რომ ლეკვი სისხლის გუბეში იწვა.

– ყველაფერი საშინელებათა ფილმის კადრებს ჰგავდა. გველი მას მუცელსა და კისერზე ჰყავდა შემოხვეული, კბილებით კი სახეში იყო ჩაფრენილი, – იხსენებს მორისი.

წყვილი სასწრაფოდ ლეკვის განთავისუფლებას შეუდგა. ამის შემდეგ მათ პითონი ნაგვის კონტეინერში მოათავსეს, რომ გაქცევა ვერ მოეხერხებინა, უოლი კი ვეტერინართან წაიყვანეს. იქ მას რენტგენი გადაუღეს და გამოკვლევა ჩაუტარეს იმის დასადგენად, როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი ჯანმრთელობა. ექიმებმა ლეკვს ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი და ანტიბიოტიკები მისცეს.

– ისეთი შვება ვიგრძენით, განსაკუთრებით ბავშვები არიან გახარებულები იმის გამო, რომ უოლი სრულ წესრიგშია, – ხაზგასმით აღნიშნა ქალმა.

გიენები სახლში მძინარე მამაკაცს თავს დაესხნენ და შეჭამეს

ზიმბაბვეს ქალაქ მვუმაში გიენების ხროვა სახლში მძინარე მამაკაცს თავს დაესხა და ცოცხლად შეჭამეს.

თავდასხმა ორშაბათს, ღამით მოხდა. 87 წლის ტენდაი მასეკა სახლში მარტო იმყოფებოდა, როდესაც მას გიენების ხროვა თავს დაესხა, აღნიშნა ბუნებრივი რესურსების უწყების პრესმდივანმა ტინაშე ფარავომ.

გიენებმა მამაკაცი მისი სახლიდან დაახლოებით 300 მეტრის მანძილზე გაათრიეს და შეჭამეს. ხანდაზმული მამაკაცის მკვლელობაში ეჭვმიტანილია გიენების იგივე ხროვა, რომელიც ბოლო დროს ჩირუმანზუს რაიონში თავს ესხმოდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსა და თხების ფარას.

სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა უკვე დაიწყეს ნადირობა სახიფათო მტაცებლებზე, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდეს მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ, გარეთ მხოლოდ დღის საათებში გამოვიდნენ და სახლის კარი და ფანჯრები ჩაკეტონ.

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

მომღერალი გიული დარახველიძე გარდაიცვალა

მომღერალი გიული დარახველიძე 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ბასტი ბუბუს ხელმძღვანელმა თამრიკო სხვიტარიძემ გაავრცელა:

– ფიფქების სამყოფელში გაგვიფრინდა გიული დარახველიძის სული. დაგვიტოვა სიკეთე და კეთილი ადამიანები. მარტო ეს ერთი სიმღერა „ფიფქებო“ რომ დაწერა, უკვე უკვდავია მისი სახელი, ის ასოცირდება ახალ წელთან, მოფერებასა და ბავშვებთან. ბასტი ბუბუს სახელით, დიდ მადლობას გიხდით დეიდა გიული და მუდამ ნათელში ვამყოფებთ თქვენს კეთილ სულს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი „ირინეს ბედნიერებას“ ონლაინ წარმოგვიდგენს

1 დეკემბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ონლაინ პლატფორმაზე მაყურებელს შესთავაზებს სპექტაკლს „ირინეს ბედნიერება“. ეს სპექტაკლი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა დავით კლდიაშვილის მიხედვით დადგა.



მოზარდ მაყურებელთა თეატრი უერთდება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც 1991 წლიდან მთელ მსოფლიოში აღინიშნება. კამპანია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ონლაინ პლატფორმაზე დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლი „ირინეს ბედნიერება“ 17 საათზე დაიწყება.

პოეტი ნიკა კვესელავა გარდაცვლილი იპოვეს

29 წლის პოეტი ნიკა კვესელავა თბილისში, ერთ-ერთ საცხობში გარდაცვლილი იპოვეს.

ქუთაისელი პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ორი ვერსია გავრცელდა – გაზით გაგუდვა და გულის გაჩერება.

„ძმაკაცებმა შემომიდგით მხრებზე მძიმედ“ – ასეთი ამონარიდია მისი ერთ-ერთი ლექსიდან, რომელიც მეგობრებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს.

იუმორისტმა თეიმურაზ პატარიძემ კი მეგობრის შემოქმედებიდან ერთ-ერთი საყვარელი სტროფი გაავრცელა:

– დრო რომ მომიცილებს შორეთს, ხორცის დატოვებას მამცნობს, შენ არ გეყოლები თორემ, სიკვდილს მეც გავუძლებ კაცო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

11 წლის გოგონამ ქვებში გაჭედილი ზვიგენი გადაარჩინა

ავსტრალიის ტასმანიის შტატის ქალაქ ჰობარტში გოგონამ შიშველი ხელებით ამოიყვანა ქვებში გაჭედილი ზვიგენი და გადაარჩინა.

11 წლის ბილი რი დედასთან ებისთან და ძმა ფლინთან ერთად მდინარე დერუენტის ქვიან სანაპიროზე სეირნობდნენ. გოგონამ ქვებს შორის ავსტრალიური თავკომბალა ზვიგენი შენიშნა. ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ დგას რი წყალმცენარეებით დაფარულ ქვებზე და ზვიგენის ამოყვანას ცდილობს. გოგონას უშიშრად ამოჰყავს ზვიგენი, გადაჰყავს წყალსატევში და იქ უშვებს.

დედის, ების თქმით, მის ქალიშვილს ბუნებასა და ცხოველებზე მზრუნველობა იტაცებს. მას მუდმივად მიჰყავს სახლში ახალდაბადებული უდედოდ დარჩენილი ცხოველები, უვლის მათ და შემდეგ ბუნებაში აბრუნებს.

– ბილის ერთგვარი კავშირი აქვს ცხოველებთან... ის მათ ენერგიას შეიგრძნობს, – ხაზგასმით აღნიშნა გოგონას დედამ.

მამაკაცი ნვიმის წყალობით გამდიდრდა

კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ ანმორის მცხოვრები მამაკაცი ათი ათასობით კანადური დოლარით ამინდის გაუარესების გამო შეცვლილი საკუთარი გეგმების წყალობით გამდიდრდა.

ბერნარდ სკრივენერის თქმით, მას შვილი ფეხბურთზე მიჰყავდა, მაგრამ ვარჯიში წვიმის გამო გადაიდო. სახლისკენ მიმავალ გზაზე ბავშვს მოშივდა და მამაკაცმა ავტოგასამართ სადგურზე შეუხვია, რათა მისთვის რაიმე სასუნნავი შეეძინა. მაღაზიაში სკრივენერმა ასევე მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთიც შეიძინა.

მამაკაცმა ბილეთები სახლში მისვლის შემდეგ შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ 675 ათასი კანადური დოლარი მოიგო. ის იმავე ავტოგასამართ სადგურზე დაბრუნდა და ბილეთები იქაც შეამოწმა, რათა საკუთარ მოგებაში დარწმუნებულიყო.

– ეს ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი იყო, – აღიარა კანადელმა.

მოგებული თანხით სკრივენერი თავისი დიდი ხნის ოცნების ასრულებას ავტომობილის ფორდ მუსტანგი შელბის ყიდვას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადადებს.

მამაკაცმა რესტორანში ჯიბის ფულად სამი ათასი დოლარი დატოვა

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის რესტორანში მომხმარებელმა ლუდი შეუკვეთა და ჯიბის ფულად სამი ათასი დოლარი დატოვა.

რესტორნის მფლობელმა ბრენდან რინგმა ფეისბუქში დაწერა, რომ 22 ნოემბერს, დაწესებულების დროებით საკუთარი სურვილით დახურვის წინ, რაც კორონავირუსის გავრცელების საფრთხესთან იყო დაკავშირებული, მათთან მომხმარებელი შევიდა და ლუდი შეუკვეთა. სასმელისთვის ანგარიშმა შვიდი დოლარი შეადგინა.

მამაკაცმა ჯიბის ფული დატოვა, რინგს ყოველივე საუკეთესო უსურვა და სთხოვა, რომ მის მიერ დატოვებული ჯიბის ფული დარბაზში მომუშავე მისი ოთხი თანამშრომლისთვის გაეანწილებინა. როდესაც მამაკაცი რესტორნიდან გავიდა, რინგმა ფული გადაითვალა და აღმოაჩინა, რომ მან სამი ათასი დოლარი დატოვა.

– მე მას გავეკიდე. მან მიპასუხა, რომ შეცდომას ადგილი არ ჰქონია და ის ისევ მოვა, როდესაც ჩვენ ისევ გავიხსნებით, – აღნიშნა რინგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველომ ირლანდიასთან იბრძოლა

ირლანდია-საქართველო 23:10
დუბლინი. ავივა სთადიუმი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „შემოდგომის ერთა თასზე" ჯერ-ჯერობით საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს, ირლანდიასთან ბოლომდე დარჩნენ თამაშში. მეტოქემ პირველ ტაიმში 2 ლელო გაიტანა და ორივე შემთხვეობლებთან ოთხივე თამაში დავთმეთ, მაგრამ ჩვენი თამაშის ხარისხის მატებასთან ერთად, სხვაობა მატჩიდან მატჩამდე მცირდებოდა. მორაგბეებს ემატებოდათ თავდაჯერებულობა, სითამამე და უფრო აქტიურები იყვნენ შეტევაში. კონკრეტულად ირლანდიასთან გამოჩნდა, რომ ღია თამაშიდან თუ სტატიკიდან, გუნდს ბევრი ჰქონდა ნამუშევარი შეტევაზე, თანაც ისე, რომ დაცვას არაფერი დაკლებია. შესრულდა 219 ბოჭვა და გაფუჭდა მხოლოდ 15, მაგრამ დავთმეთ 3 ჩვენი დერეფანი, 11-ჯერ დაგვივარდა ბურთი და ობიექტურად ძლიერმა მეტოქემ ეს შეცდომები არ გვაპატია. თანაბრად ვითამაშეთ შერკინებაში, სადაც გუნდები 4-4-ჯერ დაჯარიმდნენ და განსაკუთრებულად თავდადებულები ვიყავით დაცვაში.

ირლანდიასთან აქამდე 4 თამაში გვქონდა ჩატარებული, აქედან 3 დუბლინში და მასპინძლები გამარჯვებას ყოველთვის იოლად, დიდი სხვაობით ახერხებდნენ. 2007 წლის მსოფლიო თასზე, ირლანდია გახდა პირველი ტიერ 1-ის გუნდებიდან, რომელთანაც თამაში ბონუს-ქულის ფარგლებში (10:14) დავთმეთ და იყო შანსი, იგივე ახლაც გამეორებულიყო, მაგრამ ეს აღარ გამოვიდა.

„ბორჯღალოსნებს" „შემოდგომის ერთა თასზე" ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი. ახლა ისინი ინგლისში დაბრუნდებიან, შემდეგ ედინბურგში გაემგზავრებიან, სადაც 5 დეკემბერს ფიჯის უნდა ეთამაშონ.

ვაში, შეტევა ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებს მოყვა. პირველ ტაიმში ერთი ლელო გაიტანეს ბორჯღალოსნებმაც – ამ ტურნირზე პირველი ქულები გიორგი კვესელაძის შესანიშნავ გარღვევას მოყვა.

აქამდე ტურნირზე ირლანდიას სულ 2 ლელო ჰქონდა მიღებული, ორივე ინგლისისგან (7:18), უელსისგან კი, 3 ჯარიმა მიიღო და 23 ქულის სხვაობით, 32:9 დაამარცხა.

საქართველო შოტლანდიასთან გამართული გასახურებული მატჩიდან მოყოლებული, მუდმივად პროგრესირებდა და ეს შედეგებზეც შესაბამისად ისახებოდა. მართალია ევროპულ ბო-

მარადონას საქმეზე გამოძიება დაიწყო

დიეგო მარადონას გარდაცვალებას არასასიამოვნო გაგრძელება მოჰყვა – პოლიციამ ბუენოს აირესში მისი პირადი ექიმის, ლეოპოლდო ლუკეს სახლი გაჩხრიკა. მანამდე დაიწერა, რომ ლეგენდარული ფეხბურთელის სიკვდილი ექიმის გაუფრთხილებლობამ გამოიწვია. შედეგად, პროკურატურას სიმართლის დადგენა სურს.

გამოძიების დაწყება სან ისიდროს განყოფილებამაც დაადასტურა, სადაც მუშაობს ლეოპოლდო ლუკე. თავად ექიმი ნებისმიერი სახის გულგრილობასა და გაუფრთხილებლობას უარყოფს.

საინტერესოა, რომ მარადონას ექთანმა აღიარა, რომ მანამდე ცრუ ჩვენება მისცა. დიეგოს ადვოკატმა მატიას მორლამ ლეგენდის გარდაცვალებიდან მალევე ექიმების ბრალეულობაზე ისაუბრა, სადაც აცხადებდა, რომ დიეგოს 12 საათის განმავლობაში არავინ მეთვალყურეობდა და სასწრაფო დახმარებამაც დააგვიანა. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ სასწრაფოს მანქანას ასე ახლოს მისასვლელად ნახევარი საათი დასჭირდა, კრიმინალური იდიოტიზმია.

ლეოპოლდო ლუკე:

– ბრალი არაფერში მიმიძღვის. მისთვის ბოლო მომენტამდე ყველაფერს ვაკეთებდი. ექიმის შეცდომას ადგილი არ ჰქონია. მისი მსგავსი სიმპტომების მქონე პაციენტისთვის გულის ინფარქტი ყველაზე გავრცელებული სიკვდილის გამომწვევი მიზეზია მთელს მსოფლიოში.

სეტიენი ბარსელონას უჩივლებს



ბარსელონას ყოფილი მთავარი მწვრთნელი, კიკე სეტიენი, კატალონიური კლუბის წინააღმდეგ სასამართლო დავას იწყებს, რომლის საგანს იანვარში გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს. სეტიენი ყოფილი კლუბისგან კონტრაქტის ვადით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ითხოვს.

კლუბმა 61 წლის სპეციალისტს ხელშეკრულება აგვისტოში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაუწყვიტა.

სეტიენმა ბარსელონა 2020 წლის 13 იანვარს ჩაიბარა და თანამდებობაზე მანამდე გაშვებული ერნესტო ვალვერდე შეცვალა. სეტიენის ხელმძღვანელობით კატალონიურმა კლუბმა ვერაფერი მოიგო – ესპანეთის ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა, ჩემპიონთა ლიგაში კი, მეოთხედფინალამდე გააღწია, სადაც მიუნხენის ბაიერნთან ანგარიშით 2:8 წააგო.

კიკე სეტიენი:

– რა თქმა უნდა, ბაიერნთან მარცხში ბრალი მიმიძღვის და ოდესმე დავწერ ამის შესახებ. ბარსელონადან გათავისუფლების შემდეგ გავიგე, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2:8-ით განადგურებამდე მიიღეს.

როგორც ირკვევა, სწორედ ეს არის დავის საგანი – ესპანელი სპეციალისტი უკმაყოფილოა იმით, რომ მან და მისმა შტაბმა გათავისუფლების თაობაზე შეტყობინება კლუბის დირექტორთა საბჭოს მხრიდან ერთთვიანი დუმილის შემდეგ მიიღეს და ამის გამო ვერ შეძლეს სხვა კლუბებში მუშაობის დაწყება.

შედეგები

29 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერიგა
საუთჰემპტონი-მანჩესტერი 2:3
ჩელსი-ტოტენჰემი 0:0
არსენალი-ვულვზი 1:2

საკუნინიო ცხრილი:

1.ტოტენჰემი	10	6	3	1	21-9	21
2.ლივერპული	10	6	3	1	22-17	21
3.ჩელსი	10	5	4	1	22-10	18
4.ლესტერი	9	6	0	3	18-12	18
5.საუთჰემპტონი	10	5	2	3	19-16	17
6.ვულვზი	10	5	2	3	11-11	17
7.ვერტონი	10	5	1	4	19-17	16
8.მანჩესტერი	9	5	1	3	16-16	16
9.ასტონ ვილა	8	5	0	3	19-11	15
10.სიტი	9	4	3	2	15-11	15
11.ვესტ ჰემი	9	4	2	3	15-10	14
12.ლიდსი	10	4	2	4	15-17	14
13.ნიუკასლი	10	4	2	4	12-15	14
14.კრ.პალასი	10	4	1	5	12-15	13
15.არსენალი	10	4	1	5	10-12	13
16.ბრაიტონი	10	2	4	4	14-16	10
17.ვესტ ბრომვიჩი	10	1	3	6	7-18	6
18.ბარნლი	9	1	2	6	4-17	5
19.ფულემი	9	1	1	7	9-18	4
20.შეფილდი	10	0	1	9	4-16	1

ინგლისი. ჩემპიონიგა
ნოტინგემი-სუონსი 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა
ლევერკუზენი-ჰერტა 0:0
მაინცი-ჰოფენჰაიმი 1:1

საკუნინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	9	7	1	1	31-13	22
2.ლაიფციგი	9	6	2	1	18-6	20
3.ლევერკუზენი	9	5	4	0	16-9	19
4.დორტმუნდი	9	6	0	3	21-9	18
5.ვოლფსბურგი	9	4	5	0	14-8	17
6.უნიონი	9	4	4	1	21-11	16
7.გლადბახი	9	4	3	2	17-14	15
8.აუგსბურგი	9	3	3	3	11-12	12
9.აინტრახტი	9	2	6	1	14-16	12
10.შტუტგარტი	9	2	5	2	17-15	11
11.ვერდერი	9	2	5	2	13-15	11
12.ჰოფენჰაიმი	9	2	3	4	15-16	9
13.ჰერტა	9	2	2	5	15-18	8
14.ფრაიბურგი	9	1	4	4	10-20	7
15.კოლნი	9	1	3	3	10-15	6
16.მაინცი	9	1	2	6	11-22	5
17.არმინია	9	1	1	7	6-19	4
18.შალკე	9	0	3	6	6-28	3

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
ჰანოვერი-კილი 0:3
ნიურნბერგი-ფიურტი 2:3
ჰაიდენჰაიმი-ჰამბურგი 3:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი
ბარსელონა-ოსასუნა 4:0
ხეტაფე-ბილბაო 1:1
სელტა-გრანადა 3:1
სოსიედადი-ვილიარეალი 1:1

საკუნინიო ცხრილი:

1.სოსიედადი	11	7	3	1	22-5	24
2.ატლეტიკო	9	7	2	0	19-2	23
3.ვილიარეალი	11	5	5	1	15-11	20
4.რეალი	10	5	2	3	16-12	17
5.სევილია	9	5	1	3	12-8	16
6.კადისი	11	4	3	4	9-12	15
7.ბარსელონა	9	4	2	3	19-9	14
8.გრანადა	10	4	2	4	11-17	14
9.ბილბაო	10	4	1	5	12-10	13
10.ელჩე	9	3	4	2	9-10	13
11.ხეტაფე	10	3	4	3	9-10	13
12.ალავესი	11	3	4	4	11-13	13
13.ვალენსია	11	3	3	5	17-17	12
14.ბეტისი	10	4	0	6	12-21	12
15.ოსასუნა	10	3	2	5	8-13	11
16.ვიბარი	10	2	4	4	6-9	10
17.სელტა	11	2	4	5	11-20	10
18.ვალიადოლიდი	11	2	4	5	11-16	10
19.ლევანტე	10	1	5	4	10-15	8
20.უესკა	11	0	7	4	8-17	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი
ალბასეტე-ტენერიფე 0:2
ესპანიოლი-სარაგოსა 2:0
მალიორკა-ლოგრონიესი 4:0
პონფერადინა-ლეგანესი 3:2
ლას პალმასი-ხიხონი 3:2

იტალია. სერია ა
ლაციო-უდინეზე 1:3
ბოლონია-კროტონე 1:0
მილანი-ფიორენტინა 2:0
კალიარი-სპეცია 2:2
ნაპოლი-რომა 4:0

საკუნინიო ცხრილი:

1.მილანი	9	7	2	0	21-8	23
2.ინტერი	9	5	3	1	23-13	18
3.სასუოლო	9	5	3	1	18-12	18
4.იუვენტუსი	9	4	5	0	18-7	17
5.ნაპოლი	9	6	0	3	20-10	17
6.რომა	9	5	2	2	19-15	17
7.ვერონა	9	4	3	2	12-7	15
8.ატალანტა	9	4	2	3	18-16	14
9.ლაციო	9	4	2	3	14-16	14
10.ბოლონია	9	4	0	5	14-14	12
11.სამპდორია	8	3	1	4	12-13	10
12.კალიარი	9	3	2	4	16-19	11
13.უდინეზე	9	3	1	5	10-12	10
14.სპეცია	9	2	4	3	13-17	10
15.ბენევენტო	9	3	1	5	12-21	10
16.ფიორენტინა	9	2	2	5	10-15	8
17.პარმა	8	1	3	4	8-16	6
18.ტორინო	8	1	2	5	14-20	5
19.ჯენოა	8	1	2	5	7-16	5
20.კროტონე	9	0	2	7	6-20	2

იტალია. სერია ბ
რეჯანა-კრემონეზე 1:1
კოზენცა-სალერნიტანა 0:1

საფრანგეთი. ლიგა 1
ლიონი-რეიმსი 3:0
ლანსი-ანჟე 1:3
ლორიანი-მონპელიე 0:1
მეცი-ბრესტი 0:2
მონაკო-ნიმი 3:0
ნიცა-დიჟონი 1:3
სტ.ეტიენი-ლილი 1:1

საკუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	12	8	1	3	30-8	25
2.ლილი	12	6	5	1	21-8	23
3.ლიონი	12	6	5	1	21-10	23
4.მონაკო	12	7	2	3	23-16	23
5.მონპელიე	12	7	2	3	21-16	23
6.მარსელი	10	6	3	1	15-9	21
7.რენი	12	5	4	3	19-16	19
8.ანჟე	12	6	1	5	18-22	19
9.ბრესტი	12	6	0	6	21-23	18
10.ნიცა	11	5	2	4	16-15	17
11.ლანსი	10	5	2	3	16-17	17
12.მეცი	12	4	4	4	12-11	16
13.ბორდო	12	4	4	4	12-13	16
14.ნანტი	11	3	3	5	13-17	12
15.სტ.ეტიენი	12	3	2	7	12-20	11
16.ნიმი	12	3	2	7	11-22	11
17.რეიმსი	12	2	3	7	16-22	9
18.ლორიანი	12	2	2	8	12-22	8
19.სტრასბური	12	2	1	9	14-24	7
20.დიჟონი	12	1	4	6	8-21	7

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი
ვიტესი-სიტარდი 2:0
გრონინგენი-ტილბურგი 1:0
ფეინოორდი-უტრეხტი 1:1
ერაკლესი-ალკმაარი 1:2
პსვ-სპარტა 1:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა
ჟილ ვისენტე-რიუ ავე 2:0
პორტიმორენშე-ნასიონალი 1:0
ბოავიშტა-ბელენენსეში 0:0
ბრაგა-ფარენსე 1:0

ხუთეული. პრემიერ ლიგა
ურალი-სოჭი 1:0
უფა-ტამბოვი 4:0
რუბინი-ცსკა 1:0
სპარტაკი-როტორი 2:0

ავსტრია. ბუნდესლიგა
ვოლფსბერგერი-რიდი 1:1
ლინცერი-ალტახი 3:0
რაპიდი-აუსტრია 1:1

ბელგია. ა დივიზიონი
მეხელენი-ბეერსხოტი 2:3
გენტი-ვარეგემი 0:3
ანდერლეხტი-სტანდარდი 0:0
კორტრაიკი-ოსტენდე 3:1

შვეიცარია. სუპერლიგა
ლოზანა-იანგ ბოიზი 0:3
ლუგანო-ბაზელი 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა
პანათინაიკოსი-პანეთოლიკოსი .. 2:1
ოფი-იანინა 2:1
ლამია-პაოკი 0:2
ასტერასი-აეკი 1:2

თურქეთი. სუპერლიგა
ერზრუმი-ანთალია 2:2
ალანია-ქონია 1:0
ქაშიმფაშა-გენჩლერი 2:0
ფენერბახჩე-ბეშიქთაში 3:4

ჩეხეთი. 1 ლიგა
ტეპლიცე-სპარტა 0:1
სლავია-ბრნო 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა
ჩენსტოხოვა-ვარტა 1:0
ლეგია-პიასტი 2:2

უკრაინა. პრემიერლიგა
მინაი-ზორია 0:3
კოლოსი-დესნა 1:1
ინგულეცი-ოლიმპიკი 2:1

ინგულეცის პირველი გოლი ნიკა სიჭინავამ გაიტანა

დანია. სუპერლიგა
ჰორსენსი-ვეილე 3:1
სონდერიისკე-კოპენჰაგენი 1:3
ნორდსიელანდი-ორხუსი 3:1

შვედეთი. ალსვენსკა
ვარბერგი-მალმიო 3:2
ჰელსინბორგი-ფალკენბერგი 0:0
ესტერსუნდი-გიოტებორგი 0:4
მილაბი-დიურგარდენი 2:1
სირიუსი-ელფსბორგი 1:1
ჰაკენი-იორებრო 3:0

ნორვეგია. ელიტსერია
ბოდო ..... გლიმდტი-რუსენბორგი 5:1
კრისტიანსუნდი-სტრომგოდსეტი 2:1
მიოლდე-ჰაუგესუნდი 3:1
მაინდალენი-სტაბეკი 0:1
ვალერენგა-სარპსბორგი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. იაპონური ავტომობილი; 3. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 4. ტვირთის სათავსო გემზე; 6. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 9. საქველმოქმედო ფონდი საქართველოში; 11. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ძველებური სამგზავრო ხელჩანთა; 16. ნახატის, არქიტექტურული პროექტის წინასწარი მონახაზი; 17. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 19. ზღვის ცხოველების გაქვავებული ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო ნივთიერება; 21. ეთერზეთებით მდიდარი ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი ზეთი; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი.

თარაზულად: 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრინველის კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 8. აეროპორტი მილანში; 10. მოლაპარაკე ფრინველი; 12. უმთვარო, ბნელი ღამე; 13. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 14. კურკოვანი ნაყოფის მქონე ზეთით მდიდარი მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე; 18. იორდანიის დედაქალაქი; 20. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 23. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 24. ქართული სპორტული თამაში სპეციალური ბურთით; 25. სათამაშო სახლი, სამორინე; 26. შეკმაზული ნიგვზის საწებელი; 27. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაგრატი; 2. მენჩიკი; 3. პირსინგი; 4. ტუნისი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მოწამეთა; 12. ბერნარდი; 13. ჭიშკარი; 16. გაგრიფში; 17. ძილქუში; 19. აღლუმი; 20. მექისე.

თარაზულად: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბესონი; 10. კაოლინი; 11. მუდო; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღილი; 22. სელბი; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აუდიტი; 2. ციცკა; 3. სლაიდი; 4. არენდა; 6. ოკლენდი; 9. ტოლმა; 11. ჭიკარტი; 15. ვოლტმეტრი; 16. ვაზარი; 17. კარამელი; 19. იდიოტია; 21. ბრონქსი; 22. ბრინჯი.

თარაზულად: 5. მურყვამი; 7. კანკავა; 8. მეტელი; 10. გორგაძე; 12. დვირი; 13. ბრიზი; 14. სამშვილდე; 18. კრახი; 20. მაჭარი; 23. თრომბი; 24. ოშკი; 25. ხორუმი; 26. ჯორი; 27. ისტორია.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3164

ევრო — 3.9545

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4231

100 რუსული რუბლი — 4.3692

ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისათვის

ვახტანგ მაჭავარიანი გვაფრთხილებს

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი გვაფრთხილებს, რომ ბუნებაში უმიზეზოდ არაფერი ხდება, ამიტომ კორონა ვირუსიც ჩვენთვის გამოგზავნილი საყურადღებო გზავნილია:

– დიდმა პლატონმა განმარტა, რომ ყველაფერს განაგებს განგება. ჩემი აზრით, განგება არის უზენაესი ძალის და შემქმნელის „თანაშემწე", რომელსაც ევალება კაცობრიობის თემა.

მაშ, რა შემოგვთავაზა ჩვენ განგებამ კორონას სახით? მან შემოგვთავაზა ჩვენ ღიმილის დამალვა, ხელის არ ჩამორთმევა, ერთმანეთის არ მოხვევა ან კოცნა, ერთურთის შიში, განრიდება, ჩაკეტვა, აგერ უკვე იმის შეთავაზება, რომ ოჯახის წევრებმა ისადილონ ცალ-ცალკე, ანუ სრული გათიშვა.

ურთიერთობის ათასწლეული ტრადიცია ხომ არის ღიმილი, ხელის ჩამორთმევა, მოხვევა, კოცნა, ერთად ვახშამი და ა.შ. სწორედ აქ ჩაგვარტყა კორონამ. მეგობარს ეშინია მეგობრის, ნათესავს – ნათესავის. უახლოესი ადამიანის დაკრძალვის ცერემონიაც კი შეიცვალა. დაბუდდა ტოტალური შიში, ადამიანს ეშინია ადამიანის! არაფერი ხდება უმიზეზოდ ბუნებაში, ეს კოშმარიც მიზეზით არის გამოწვეული და რამდენიც არ უნდა გააქილიკონ ეს თემა კომედი შოუებში, ფაქტი რჩება ფაქტად.

ჩემი რწმენით, ეს ამბავი დაგვემართა იმიტომ, რომ უკულმართად იქცევა კაცობრიობა, და სანამ, მანამ ადამიანი არ შეიცნობს ამას, არ ინანებს და არ გადაწყვეტს, რომ ესოდენ ზოგადსაკაცობრიო უსამართლობა არ უნდა გაგრძელდეს ამიერიდან, ანალოგიური საფრთხეები არ ასცდება ადამიანს. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა ჩაიხედოს როგორც საკუთარ გულსა და სულში, ასევე სარკეში და აღმოფხვრას უკეთურობა გულში, სულსა და საკუთარ სახეში. უსამართლობა ბადებს შემდეგ უსამართლობას, ერთი ცოდვა აჩენს მრავალ ცოდვას. ჩვენ ვსვამთ ვიტამინებს და ა.შ. ჩვენი იმუნიტეტის გასაძლიერებლად, ასევე საჭიროა სულიერი ვიტამინები სულის, გულის, გონის და სხეულის გადასარჩენად.

რთულია, მაგრამ სხვა გზა არ არის. პირადად მე, სიმძიმეებით დატვირთული, ვცდილობ და ვებრძვი საკუთარ თავს.

მიშა გომიაშვილი გაანაწყენეს

მსახიობი მიშა გომიაშვილი გაანაწყენეს. როგორც თავად აღნიშნა, ჟურნალისტმა, მისგან მოტყუებით, „შაკლურად" ჩაწერა ინტერვიუ და გამოაქვეყნა:

– რომ არ დამეწერა, არ შემეძლო, რადგან ამ „ჟურნალიუგების" უზნეობას საზღვარი აღარ აქვს. ბევრი უცნობი ადამიანი მირეკავს, მკითხულობს, მალე გამოჯანმრთელებას მისურვებენ, ძალიან მიხარია და დიდი მადლობა მათ. ბევრი ჟურნალისტიც



მირეკავს, მთხოვს ინტერვიუს, მერწმუნეთ, ჯერ სუსტად ვარ და მიჭირს ინტერვიუს მიცემა, ახლაც, ეს წერილი რომ დამეწერა, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, ბევრს ესმის და ბოდიშის მოხდით მთავრდება ჩვენი საუბარი...

ამ რამდენიმე დღის წინ მირეკავს მორიგი ჟურნალისტი, ვუხსნი, რომ ჯერ ვერ ვარ მთლად ჯანზე, არ მეშვება! უზრდელი ხომ არ ვარ, გავუთიშო ტელეფონი, ხან რას მეკითხება, ხან – რას, ვერ ვიცილებ. ვკითხე კიდეც ხუმრობით, ინტერვიუს ხომ არ იღებთ-მეთქი, არაო. კარგად რომ გახდებით, შეგეხმიანებითო და ამით მორჩა ჩვენი საუბარი. მირეკავს მეგობარი და მეუბნება, რომ ჩემი ინტერვიუ წაუკითხავს. ამ უმსგავსობას აღარ უნდა მოეღოს ბოლო? ასე მოტყუებით, ასე „შაკლურად" გიღირს ამის გაკეთება? ჩემ დაუკითხავად ინტერვიუს ჩაწერა და მერე მისი გამოქვეყნება. ნორმალურ, სამართლებრივ ქვეყანაში საერთოდ ჩამოგართმევდნენ ჟურნალისტის ლიცენზიას. თუკი, რა თქმა უნდა, გაქვს „ლიცენზია", რაშიაც ძალიან მეპარება ეჭვი... დღეს ხომ, ვინც დიქტაფონს იყიდის, ყველას ჟურნალისტი ჰგონია თავი! მოკლედ, დიდი უზნეო ადამიანი ყოფილხარ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 დეკემბრისათვის

ვერძი – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქეიფია. სუფრის ერთი წევრი არ სვამს. ერთ-ერთი ეკითხება:

– რატომ არ სვამ?

– თუ ცოტას დავლევ, ეს ვერ გამამხიარულებს, ხოლო თუ ბევრს, მაშინ თქვენ არ გექნებათ საქმე სამხიარულოდ...

●●●

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– სად ეგდე, სამი დღე გეძებდი?!

– მე ხომ თავიდანვე გითხარი, რომ ჩემნაირი განძი ყოველთვის უნდა ეძებო...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მარადონას ღმერთის ხელი ჰქონდა.

– სამაგიეროდ, ჩვენ ფეხბურთელებს ეშმაკის ფეხები აქვთ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ გგონია, ჩვენი ეკონომიკა რომ ინგრევა, ეს ჩვენი ხელისუფლების ბრალია?

– და შენი აზრით, ეს მათი დამსახურებაა?

●●●

დედა შვილს ეუბნება:

– როგორც ჩანს, შენ ჩვენ გაგათამამეთ და ახლა შენი დასჯა მოგვიწევს!

– კარგია რა, თქვენ გამათამამეთ და მე უნდა დამსაჯოთ?!...

●●●

ახალგაზრდა მამაკაცი ხანშიშესულს ეუბნება:

– მარტოხელა ქალები ჩივიან, რომ მამაკაცები მათი პრობლემებით საერთოდ არ ინტერესდებიან.

– ახალგაზრდავ, 30 წლის წინ ერთი მარტოხელა ქალის პრობლემებით დავინტერესდი და მოვისმინე და აგერ უკვე 30 წელია, მისი აზრით, ვალდებული ვარ, მისი პრობლემები მოვაგვარო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლანგლეს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა კლემან ლანგლემ ოსასუნასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოუდანი დროზე ადრე დატოვა.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენეს, ლანგლეს მუხლზე მცირე დაზიანება აქვს და მას ერთ კვირაზე მეტი არ დასჭირდება გამოჯანმრთელებისთვის. ბარსელონასთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გუნდში სერიოზული საკადრო პრობლემებია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჟერარ პიკემ ტრავმა მიიღო და გუნდს რამდენიმე თვე ვერ დაეხმარება.

ლამპარდი: „მოურინიომ თავის სტილში ითამაშა"

ლონდონის ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა ტოტენჰემთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მოურინიოს გუნდმა ჩვეულ სტილში ითამაშა და ის მთელი მატჩის მანძილზე მეტოქე გუნდის შეცდომებს ელოდებოდა.

ლამპარდის აზრით, ჩელსი გამარჯვებას იმსახურებდა:

– მოურინიოს სტილი ჩემთვის კარგად არის ცნობილი და ის მუდამ ცდილობს, რომ მეტოქეს თამაშის საშუალება არ მისცეს, თვითონ კი შეცდომებს ელოდება. ამჯერად მას ეს ბოლომდე არ გამოუვიდა, თუმცა ვთვლი, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით.

შეხვედრა 0:0 დასრულდა.

მარკუს ტურამი ბორუსიის დატოვებას არ აპირებს

მიონხენგლადბახის ბორუსიას ფორვარდი მარკუს ტურამი გუნდის დატოვებას არ აპირებს:

– ბორუსიამ ძალიან ბევრი რამ მომცა და ამ გუნდის მიტოვება ამ ეტაპზე არასწორი ნაბიჯი იქნება. მინდა, რომ აქ კიდევ რამდენიმე სეზონი გავატარო, შემდეგ კი უკვე მომავალზეც ვიფიქრებ.

ტურამით მანჩესტერ სიტი იყო აქტიურად დაინტერესებული.

კუმანი: „ბარსელონა ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება"

ოსასუნას დამარცხების შემდეგ ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა განაცხადა, რომ ის ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდის გარჯით და თვლის, რომ ბარსელონა მალე ოპტიმალურ ფორმაში ჩადგება.

კუმანის აზრით, ბარსელონას ტიტულებისთვის ბრძოლა შეუძლია:

– ჩვენ ყოველდღე ვპროგრესირებთ და, იმედი მაქვს, მალე ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგებით, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ბარსელონა ყოველთვის მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სანდრა გადელია საბავშვო ევროვიზიაზე მე-6 ადგილზე გავიდა

საქართველოს წარმომადგენელი საბავშვო ევროვიზიაზე სანდრა გადელია მეექვსე ადგილზე გავიდა. გამარჯვება კი საფრანგეთის წარმომადგენელმა ვალენტინამ მოიპოვა.

წელს საბავშვო ევროვიზიაში 12 ქვეყანა მონაწილეობდა. **სანდრა** გადელია „რანინას" მესამე სეზონის **გამარჯვებულია.** მან გიგა **კუხიანიძის** მიერ დაწერილი სიმღერა **„შენ მარტო არ ხარ"** შეასრულა. ქართულ-ინგლისურენოვანი სიმღერისთვის ტექსტი თემო საჯაიამ დაწერა.

წლევანდელი საბავშვო ევროვიზია მსოფლიოში გავრცელებული კორონა ვირუსის გამო, პირდაპირი ეთერისა და ჩანაწერის სინთეზს წარმოადგენდა.

ჟიურისა და მაყურებლების ხმის შეჯამების შემდეგ, ქართველი მომღერალი მეექვსე ადგილზე გავიდა. მაყურებელთა უმრავლესობამ ოთახში სანდრას მარტო ყოფნა გააპროტესტა. საბავშვო ევროვიზიის დასასრულს კი ცნობილი გახდა, რომ საქართველოს წარმომადგენელი იზოლაციაში იმყოფებოდა, ამიტომაც ოთახში სრულიად მარტო იჯდა:

– არ გვინდოდა შოუს დაწყებამდე ამ ინფორმაციის გავრცელება, სამწუხაროდ, სანდრა არის იზოლაციაში, ის ყველა წესის დაცვით იქნა მოყვანილი ადგილზე, მის გვერდით გათვალისწინებული იყო მოცეკვავეების ყოფნა, თუმცა ბოლო დღეს მოცემულობა შეგვეცვალა, იმედია გესმით, რომ ჯერ ჯანმრთელობაა და შემდეგ კონკურსი. ვფიქრობთ, ამ პატარა გოგომ ყველაფერი გააკეთა ქვეყნის საუკეთესო წარმოჩენისთვის, დიდი მა?ლობა კიდევ ერთხელ ყველას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი; 2. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 3. მსხვილი სააქციონერო, ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 4. მდინარე პრაღაში; 5. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 8. ქართველი კომპოზიტორი; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 16. სომალის დედაქალაქი; 17. რბილი ფერადი ფანქრები ხატვისათვის; 19. მდინარე კიევში; 20. ესპანური ღვინო.

თარაზულად: 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. სასამართლოს მიერ კერძო პირის ან ორგანიზაციის ქონების ან ფულადი სახსრების გამოყენების აკრძალვა; 10. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. სავაჭრო სახლი, სასტუმრო ძველად; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. სადაზღვევო მოწმობა; 21. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 22. ხურდა ფული აშშ-ში; 23. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 24. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა